საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 ივლისი პარასკევი 2012 №158 (13 764) ფასი 80 თეთრი

ტორპედოს საბანი ბოლომდე ვერ გასწვდა

საბანაძის გოლი კი, გამარჯვებას არ ეყო

საპასუხო მატჩისთვის გია გეგუჩაძეს საფიქრალი ბევრი აქვს
თამუნა ყულუმბეგაშვიოლის ფოტო

ტორპედო-აქტობე 1:1
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

მეტალურგმა ტეუტას დაუტატანა

ალბანურ ტეუტას პირველი გოლი დიმიტრი ტატანაშვილმა გაუტანა

ევროპის ლიგა 2



ხოსეპ გვარდიოლა რუსეთის ნაკრებში?

გუშინ რუსულმა პოპულარულმა გამოცემა "სპორტ-ექსპრესმა" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: დღეს მოსკოვში "ბარსელონას" ყოფილ მთავარ მწვრთნელს ხოსეპ გვარდიოლას ელოდებიან.

გამოცემის ვერსიით, დიდია ალბათობა, რომ გვარდიოლამ რუსეთის ნაკრები ჩაიბაროს!



ირაკლი ბოლქვაძე

ცისფერი ბილიკით ბრინჯაომდე

10

14

დღეს დიდი მატჩია

ჯოკოვიჩი-ფედერერი

გუშინ კი ქალთა ფინალი გაირკვა

ქართული ფეხბურთი

ევროპის ლიგა. პირველი სა კვალიფიკაციო ეტაპი

ფრე ყაზახეთის სასარგებლოდ

05.07. ქუთაისი. ტორპედო. 8500 მაყურებელი

ტორპედო	აქტობე
1	1

1:0 საბანაძე (62), 1:1 ბიკმაევი (82. კენჟისარიევის პასით)

ტორპედო	აქტობე
4-3-2-1	4-5-1
მიგინიშვილი	ნარზიკულოვი
რიგვავა	კლიმავიჩუსი
გამეზარდაშვილი	სმაკოვი
კვახაძე	ლოგვინენკო
გ. გურული	კენჟისარიევი
დიღველაშვილი	ბიკმაევი
გ. დათუნაიშვილი	კოვალჩუკი
კუხიანიძე	კაპაძე
დოლიძე	ხარულინი
საბანაძე	ბაიერი
გოცირიძე	გეინრიხი
მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე	მწვრთნელი: ვ. მუხანოვი

ტორპედო

58. გოცირიძე - **3. ბოლქვაძე**
74. დოლიძე - **იოსელიანი**
81. კუხიანიძე - **შანცულაია**

სათადარიგოები: ქვილითაია, გიგაური, ზ. ჭელიძე, ფირცხალავა

აქტობე

30. გეინრიხი - **ზემლიანუხინი**
75. კლემიავიჩუსი - **ბადლო**
90. ბაიერი - **ლისენკოვი**

სათადარიგოები: პავლოვი, დარაბაიევი, კუატი, კურმაშევი

გაფრთხილება: ლოგვინენკო (40), რიგვავა (43), დიღმელაშვილი (47), კლიმავიჩუსი (61)

არბიტრი: თოლგა ოზკალფა (თურქეთი)

რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლად არსებობას შეუდგა, ევროთასებზე ქართული და ყაზახური გუნდების გზები უკვე მეოთხედ გადაიკვეთა. წინა სამი დაპირისპირებიდან ყაზახების ბარიერი მხოლოდ ერთხელ გადავლახეთ, როცა რუსთავის „მეტალურგმა" გასულ წელს ორრაუნდიან ბრძოლაში „ირტიში" გამოთიშა ასპარეზობიდან. ამიტომაც იყო, რომ „აქტობეს" შეფასებისას ქუთაისელი ფეხბურთელები ფრთხილობდნენ და ამბობდნენ, რომ რთული ბრძოლა მოელოდათ. მათი ვარაუდი გამართლდა. „აქტობე" „ტორპედოსთვის" მართლაც უხერხული მეტოქე აღმოჩნდა. სამწუხარო რეალობაა რომ სტუმრები შეხვედრის უმეტეს ნაწილში უპირატესობას ფლობდნენ და მათ თავდამსხმელებს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ შინ გაცილებით კომფორტული ანგარიშითაც გაემგზავრებოდნენ. თუმცა, 1:1-იც მათ აქტივში უნდა ჩაიწეროს. მონდომებას ტორპედოელებსაც ნუ დავუკარგავთ, ქუთათურები ბევრს ეცადნენ, საგოლე მომენტიც საკმაოდ შექმნეს და გოლიც გაიტანეს, მაგრამ შეხვედრა სასურველი ანგარიშით ვერ დაასრულეს. **გია გეგუჩაძის** შეგირდებს განმეორებით შეხვედრაში დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რომ ორრაუნდიან ბრძოლაში „აქტობეს" ბარიერი გადალახონ.

...ევროთასებზე ასპარეზობას მონატრებულ ტორპედოელებს მოტივაცია ნამდვილად არ აკლდათ. გია გეგუჩაძეს შემადგენლობაში რაიმე განსაკუთრებული სიახლეები არ შეუტანია. თუმცა, გამოკვეთილ ფორვარდ **რევაზ გოცირიძეს** ფლანგებიდან **დოლიძე** და **საბანაძე** დაახმარა და ამით აქცენტი აშკარად შემტევ ფეხბურთზე გააკეთა. **ვლადიმირ მუხანოვმა** „ტორპედოს" ბოლომდე ოპტიმალური შემადგენლობა ვერ დაუპირისპირა. „აქტობეს" დისკვალიფიკაციის გამო ძირითადი მეკარე **სიდელნიკოვი** და ტრინიდადელი ლეგიონერი **პრიმუსი** აკლდათ. ამას მატჩის მიმდინარეობისას მათი გამოკვეთილი ფორვარდის **ალექსანდ გეინრიხის** ტრავმაც დაერთო.

მატჩის დაწყებამდე გუნდებმა ნუთიერი დუმილით ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის **რამაზ შენგელიას** ხსოვნას მიაგეს პატივი. შეხვედრა ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. პირველად ნიკოლოზ საბანაძემ გაამწვავა ვითარება, როცა საჯარიმოს გარედან სახიფათოდ დაარტყა, თუმცა მისი გარჯა უშედეგო გამოდგა. ყაზახებმა მალევე მწვავედ უპასუხეს, თუმცა **მარატ ხაირულინმა ემილ კენჟისარიევის** შესანიშნავი გადაცემა ვერ გამოიყენა და ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა. თვალში საცემი იყო სტუმრების უკეთესი ფიზიკური მომზადება, რისი წყალობითაც ისინი უფრო სწრაფად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და საწყის ნახევარ საათში ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ. დროის ამ მონაკვეთში მუხანოვის გუნდი უფრო გამართულ ფეხბურთს უჩვენებდა, თუმცა, კარში დარტყმები ყაზახებსაც უჭირდათ. 37-ე წუთზე „ტორპედო" აშკარა გოლს გადაურჩა, მეკარესთან პირისპირ შეყრილმა **ბიკმაევმა** კარში დარტყმას ხაირულინისათვის გადაცემის გაკეთება ამჯობინა და მცველებმა მდგომარეობა განმუხტეს. ტაიმის ბოლოს ქუთათურებიც გააქტიურდნენ და გოლის გატანასთანაც ახლოს იყვნენ. მასპინძლებისგან მდგომარეობას უმეტესად **გიორგი კუხიანიძე** და საბანაძე ამწვავებდნენ, რომლებიც თავიანთი ტექნიკური არსენალის გამოყენებას არ

ნიკა საბანაძემ ანგარიში ამ დარტყმით გახსნა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ერიდებოდნენ და ყაზახებს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდნენ. ტაიმის ბოლო წუთზე კუხიანიძემ შესანიშნავი პასით საჯარიმოს შიგნით რევაზ გოცირიძე მოძებნა, რომელსაც კარგი პოზიციიდან გატანა მართებდა, მაგრამ ხეირიანად ვერ დაარტყა.

მეორე ტაიმში გია გეგუჩაძემ გადაადგილებებს მიმართა. პასიური გოცირიძის ნაცვლად მოედანზე **ვალერი ბოლქვაძე** გამოჩნდა, რის შემდეგაც კუხიანიძემ ცენტრიდან მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა, ცენტრფორვარდის პოზიცია კი საბანაძემ დაიკავა. ცვლილებამ გაამართლა და „ტორპედო" გააქტიურდა. ბოლქვაძემ მოედნის ცენტრში ბურთი „დაიჭირა" და თანაგუნდელებს კარგი პასებითაც ამარაგებდა. მასპინძელთა აქტიურობამ შედეგი მალევე გამოიღო და საბანაძემ საჯარიმოს გარედან გამოზომილი დაბალი დარტყმით საკუთარი გუნდი დაანინაურა. გაშვებულმა გოლმა სტუმართა რიგებში გარკვეული დაბნეულობა შეიტანა, თუმცა მუხანოვის შეგირდებმა თამაში მალე დაალაგეს და ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწიეს. **ომარ მიგინეიშვილს** რამდენჯერმე მოუხდა თამაშში ჩართვა. მან ჯერ ზემლიანუხინის მოჭრილი დარტყმა მოიგერია, შემდეგ **სამატ სმაკოვის** სახიფათო საჯარიმოც გააუვნებლა. მაგრამ, სამწუხაროდ, „ტორპედო" გაშვებულ გოლს მაინც ვერ გადაურჩა, სტუმრებმა მსაპინძლების შეცდომით ისარგებლეს, სრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, კენჟისარიევმა მარცხნიდან საპისიპირო მხარეს გამჭოლი გადაცემა გააკეთა, სადაც ბიკმაევმა მცველებს დაასწრო და ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ დროში ქუთათურები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ანგარიშის შეცვლის შანსი აღარ მისცემიათ. მათ ახლა საპასუხო შეხვედრაში მოუწევთ იმის დამტკიცება, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლას იმსახურებენ.

პრესკონფერენცია

ერთმანეთის ქებაში მოგავალ ხუთშაბათამდე

ვლადიმირ მუხანოვი: საინტერესო თამაში გამოვიდა. თანაბარი ბრძოლა იყო. პირველ ტაიმში ბურთს ვაკონტროლებდით და საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, დამაგვირგვინებელ ფაზაში უფრო აგრესიულად უნდა გვეთამაშა. მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა. „ტორპედოს" ძალიან სურდა თავის მოედანზე გამარჯვებისთვის მიეღწია. გოლიც გაგვიტანეს, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არც თუ ისე ლოგიკური იყო. ანგარიშში ჩამორჩენის მიუხედავად არ გავტყდით და შეხვედრა სასურველი ანგარიშით დავასრულეთ. ვფიქრობ, დღევანდელი მატჩის შედეგი ლოგიკური და სამართლიანია.

- აღმოჩნდა თუ არა „ტორპედო" ისეთი გუნდი, როგორიც წარმოგედგინათ?

- „ტორპედო" ტექნიკური და კარგად ორგანიზებული გუნდია, კარგი შემსრულებლებიც ჰყავს. ამდენად, ჩვენ რთული ბრძოლისთვის ვემზადებოდით. ჩვენ რა თქმა უნდა ვითვალისწინებდით იმ ფაქტს, რომ ქუთაისური გუნდი ჯერ კიდევ სეზონისთვის მზადების ეტაპზეა და სათამაშო რეჟიმში არ იმყოფება. სამაგიეროდ, ჩვენ გადატვირთულ გრაფიკით გვიწევს თამაში და ასეთ ვითარებაში თამაშიდან -თამაშამდე ძალების აღდგენა ძალიან რთულია.

- ძალიან გადატვირთული კალენდარი გაქვთ, აპირებთ თუ არა ჩემპიონატის უახლოესი მატჩის გადადებას.

- გეთანხმებით. ბოლო მატჩი, ისიც ამხანაგური, 25 ივლისს დონეცკის „შახტართან" გავმართეთ. ჩვენ მეტოქეს კი ყაზახეთის ჩემპიონატში აქვს თამაშები და უკეთეს ფორმაშიც იმყოფება.

- აშკარაა, რომ ამ შემადგენლობით „ტორპედოს" შემდეგ ეტაპზე გასვლის შემთხვევაშიც გაუძნელდება ევროთასებზე ასპარეზობა. გეგმავთ თუ არა გუნდის გაძლიერებას?

- ვფიქრობ, რომ რესურსი ჩვენს გუნდს გააჩნია. გვჭირდება გარკვეული პერიოდი, რათა ამ ეტაპზე რეზერვში მყოფმა ფეხბურთელებმა სათანადო კონდიციებს მიაღწიონ და გუნდი გააძლიერონ. დამერწმუნეთ, თადარიგში საკმაოდ კარგი ფეხბურთელები გვყავს და მომავალს იმედის თვალით ვუყურებთ. გპირდებით, „ტორპედო" საკმაოდ კარგი, სიმპათიური გუნდი იქნება. ამასთან ერთად რა თქმა უნდა გაძლიერებაზეც ვფიქრობთ.

დავით ჯოხრეიძე
ქუთაისიდან

05.07. ლონდონი. ნიუ დენჰემი. 1 000 მაყურებელი

ტეუტა	მეტალურგი
0	3

0:1 ტატანაშვილი (77), 0:2 გეწაძე (84), 0:3 კვარაცხელია (90. პენ.)

ტეუტა	მეტალურგი
4-5-1	4-2-3-1
რიზვანი	ბელიაშვილი
შეტა	კაკუშაძე
დელიალისი	კვარაცხელია
ა. ჰოხა	მანჩალაძე
გუიუ	სუნიაშვილი
დოსტი	რაზმაძე
ოსმანი	დობროვოლსკი
იაკუბი	ჯაფარიძე
მანჩაკუ	ი. მაისურაძე
ველიკი	გეწაძე
ნიკა	სიხარულიძე
მწვრთნელი ჰ. ლიპა	მწვრთნელი კ. ჭორჭიკაშვილი

ტეუტა

63. მანჩაკუ – **ბაიაზიტი**
70. ოსმანი – **ბაკიასი**
72. დოსტი – **ემინჯაზირი**

სათადარიგოები: ჰოხმა, რ. ჰოხა, დევოლი, კაუშაი

მეტალურგი

46. კაკუშაძე – **თიქთურმანიძე**
60. დობროვოლსკი - **მიქაბერიძე**
75. სიხარულიძე – **ტატანაშვილი**

სათადარიგოები: ლობჟანიძე, გავაშელიშვილი, ქავთარაძე

გაფრთხილება: ა. ჰოხა (56), დელიალისი (66), შეტა (90)

არბიტრი: პ. სატონი (ირლანდია)

მეტალურგმა საქმე უკვე მოამთავრა

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, "მეტალურგი" კი უზარმაზარი უპირატესობის გოლად ქცევას ვერ ახერხებდა. რუსთაველთა თავკაცმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** 75-ე წუთზე მოედანზე გუნდის "ჯოკერი", **დიმიტრი ტატანაშვილი** შეუშვა და მანაც მწვრთნელს იმედი სულ რაღაც ორიოდე წუთში გაუმართლა.

ამ გოლმა მოჯადოებული წრე გაარღვია და დარჩენილ წუთებში "მეტალურგის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც მანამდე უამრავი საგოლე მომენტი გააფუჭეს, დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტი სიზუსტე გამოიჩინეს. **რევაზ გეწაძის** გოლმა მასპინძლები უშანსოდ დატოვა, "საკონტროლო გასროლა" კი **გივი კვარაცხელიამ** თერთმეტმეტრიანი დარტყმით განახორციელა.

სასიხარულოა, რომ "მეტალურგი" ევროტურნირების სტარტს ჩინებული ფორმით შეხვდა. რაღა თქმა უნდა, "ტეუტა" საკმაოდ სუსტი გუნდია, მაგრამ საერთაშორისო ტურნირზე სამბურთიანი უპირატესობით გამარჯვება, მით უფრო სტუმრად, ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის.

უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ვიცე-ჩემპიონი უკვე ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზეა, სადაც გაცილებით სოლიდური მეტოქე, ჩეხური "პლზენი" ელოდება. ამის მიუხედავად, "მეტალურგის" თამაშის ხარისხმა იმედი მოგვცა, რომ რუსთაველები შემდეგ მონინააღმდეგეს ღირსეულად შეებრძოლებიან და თავისი წილი შანსის გამოყენებას შეეცდებიან.

მანამდე კი "ტეუტას" ძლევა თბილისშიც აუცილებელია – ამით "მეტალურგი" თავადაც შეიმატებს ძალიან მნიშვნელოვან სარეიტინგო ქულებს და საერთო ქართულ ყულაბაშიც საკუთარ შენატანს განახორციელებს.

ახლა კი "მეტალურგს" ეფექტური გამარჯვება უნდა მივულოცოთ და შემდეგი მეტოქის დაძლევაც ვუსურვოთ.

ლევან ჯანეზაშვილი

ევრო 2020



ზვიად სიჭინავა და რევაზ არველაძე — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ბაქოში ქართველებს ელიან

დღეს ბაქოს საერთაშორისო ცენტრში 17-წლამდელ გოგონათა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა გაიმართება. ამავე დროს, აზერბაიჯანის დედაქალაქში ევრო-2020-თან დაკავშირებით დაგეგმილი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის ფედერაციების სამუშაო ჯგუფების შეხვედრა.

სწორედ ამის გამო, ბაქოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** და გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** ესტუმრნენ.

მათ გარდა, აზერბაიჯანში თურქული "კაისერის" მთავარი მწვრთნელის, **შოთა არველაძის** ჩასვლასაც ელიან.

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაში მიიღებს მონაწილეობას.

მერაბ მამულაშვილი

ევროპის ლიგა. ლეგიონერები

აზერბაიჯანი მხოლოდ ქართველთა ინგერმა არ შეარცხვინა

ძალიან კი გაუხარდა აზერბაიჯანულ მედიას ევროტურნირების პირველი ეტაპის წილისყრის შედეგები, მაგრამ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს – საკუთარ მოედანზე ლენქორანის "ხაზარი" და "ბაქი" არცთუ სახელიან მეტოქეებთან ფრეს დასჯერდნენ (ევროპის ლიგის მატჩების ანგარიშებს ვრცლად "ლელოს" ამავე ნომერში გაეცნობით), რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონი "ნეფთჩი" ჩემპიონთა ლიგაზე "ზესტაფონთან" დაპირისპირების ფავორიტი სულაც არ არის.

ერთადერთი კლუბი, რომელმაც ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანი ღირსეულად ნარმოაჩინა, ბაქოს "ინტერია", რომელმაც სტუმრად ესტონური "ტრანს ნარვა" 5:0 გაანადგურა. **კახა ცხადაძის** გუნდიდან დუბლი შეასრულა მისმა ვაჟმა **ბაჩანა ცხადაძემ**, ერთი გოლი კი **გიორგი ადამიას** ანგარიშზეა. ამ უკანასკნელმა, რომელიც "ინტერის" ახალწვეულია, დუბლის ავტორის მსგავსად, მატჩი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა.

ბაქოელთა სასტარტო შემადგენლობაში ხუთი ქართველი იყო – **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშეს, ადამია და ცხადაძე კი მეორე ტაიმში შეცვალეს. სათადარიგოთა სკამზე იჯდა მეორე ქართველი მეკარე **რევაზ თევდორაძე**.

"ბაქის" 18-კაციან განაცხადში არ გამოჩენილა ამ გუნდის ქართველი ახალწვეული **გიორგი ფოფხაძე**.

ბალტიისპირულ დერბიში ლატვიურმა "დაუგავამ" სტუმრად 1:0 სძლია ლიტვურ "სუდუვას". "დაუგავას" სასტარტო შემადგენლობაში **მამუკა ღონღაძე** და **ბიძინა ცინცაძე** იყვნენ.

სომხური "განძასარი" ფარერებზე "სტრეიმურთან" 1:3 დამარცხდა. სტუმართა შორის 90 წუთი ითამაშა **გიორგი კრასოვსკიმ**.

მოლდოვური "ზიმბრუ" უელსში "ბანგორს" 0:0 დაუზავდა. კიშინიოველთა რიგებში 70-ე წუთიდან გამოჩნდა **ლევან კორღალიძე**.

ლევან ჯანეზაშვილი

ბაჩანა ცხადაძემ დუბლი შეასრულა

სამზადისი

დინამო ბაკურიანშია

საქართველოს ჩემპიონატისათვის მზადების მორიგ ეტაპს „დინამო" ბაკურიანში გაივლის. დინამოელები გუშინ გაემგზავრნენ ბაკურიანში და სასტუმრო ვერე-პალასში დაბინავდებიან. გუნდი თბილისში 11 ივლისს დაბრუნდება. მზადების მორიგი ეტაპი კი 15-29 ივლისს სლოვენიაში წარიმართება. ბაკურიანის შეკრებაზე 25 ფეხბურთელი გაემგზავრა: **ლორია, სეფიაშვილი, ზარქუა, კაკუბავა, ხმალაძე, რეხვიაშვილი, გლიშჩრი, გველესიანი, ტვილდიანი, სეთურიძე, კვეკვესკირი, კაკულია, პარუნაშვილი, ჯილაური, პაპავა, ძარია, თარხნიშვილი, კოტო, ალვარო, ჩისკო, ჩაფიძე, მერებაშვილი, რობერტინიო, გაბაშვილი, იაგუე.** ტრავმის გამო გუნდს ვერ გაჰყვნენ **დავით ხოჭოლავა** და **ირაკლი ლექვთაძე**. „დინამოში" სინჯებზე მყოფი ვოსკობოინიკოვი გუნდს სლოვენიაში შეუერთდება და ამ ესტონელ ფორვარდს და სხვა პოტენციურ ახალწვეულებსაც დინამოელთა ახალი მთავარი მწვრთნელი **დუშან უჭრინი** უცხოურ შეკრებაზე გასამართავ ტესტ-მატჩებში დააკვირდება. „დინამო" **კიზიტოს** და **პოლაკს** დაემშვიდობა, **გლიშჩრთან** კი კლუბი, სავარაუდოდ, კონტრაქტს მალე გააფორმებს.

ალექსანდრე კოშკაძეს, დავით ოდიკაძეს, გულვერდ თომაშვილს, მამუკა ლომიძეს, ოთარ ხიზანეიშვილს, ირჟი ჰომოლას, გოგიტა გოგუასა და სოსო გრიშიკაშვილს „დინამო" მადლობას უხდის და წარმატებებს უსურვებს მომავალ სპორტულ კარიერაში.

www.fcdinamo.ge

უეფას მოთხოვნები: რა არის შესასრულებელი?

ჯერ იყო სურვილი, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ევრო-2020-ისთვის ერთობლივად ემასპინძლათ. მაშინ უოლტ დისნეის სიტყვები გავიხსენეთ, მთავარია - მთვარეზე მოხვედრას ეცადო და თუ ამას ვერ შეძლებ, ვარსკვლავებს შორის მაინც იტრიალებო. მართალია, მთვარეზე ვერ "მოვხვდით", მაგრამ უეფამ "ვარსკვლავებში" მოგვახვედრა და საქართველოს 2015 წლის სუპერთასის მასპინძლობა ანდო.

ამას შემდეგ დაემატა **მიშელ პლატინის** რევოლუციური იდეა, რომ ევროპის ჩემპიონატის 60 წლისთავთან დაკავშირებით, ევრო-2020-ს არა ერთმა ან ორმა ქვეყანამ, არამედ ევროპის 12-მა ქალაქმა უმასპინძლოს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ღიად მიანიშნეს, რომ ერთ-ერთი ქალაქის საქართველოში შერჩევას იმედოვნებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ნანილია იმ ინფორმაციისა, რომლის თქმის უფლებასაც საკუთარ თავს საჯაროდ აძლევენ. ფედერაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პირდაპირ გვითხრა, რომ ევრო-2020 პლატინის ამ იდეით თუ ჩატარდა, 90 პროცენტით ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი თბილისიც იქნებაო.

ღმერთმა ქნას, რომ ის 10 პროცენტიც დაგვემატოს და მოხდეს სასწაული, როგორც სუპერთასის შემთხვევაში. მერე საჭირო აღარ იქნება 5 მაღალი კლასის მინიმუმ 50-ათასიანი სტადიონი, მოთხოვნები შემცირდება და ქვეყანას გაციელებით ნაკლები ხარჯი დაანვება. თუმცა, საჭირო პირობები აუცილებლად უნდა შეიქმნას. დღევანდელი ინფრასტრუქტურით ევროპის ჩემპიონატისა (ახალი ფორმატით) და უკვე ბოძებულ სუპერთასის მატჩსაც ვერ ვუმასპინძლებთ, 2015 წლამდე უეფას მოთხოვნები თუ არ შევასრულეთ.

რა მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილოს საქართველომ, ამაზე წარმოდგენას შეგვიქმნის ევრო-2012-ის მასპინძელ უკრაინულ ქალაქებზე მოძიებული ინფორმაციები.

კიევმა ჯგუფური ეტაპის შეხვედრებსა და ესპანეთი-იტალიის ფინალს უმასპინძლა. ევრო-2012–ის საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, ფინალის დღეს კიევში 164 სხვადასხვა ტიპის სასტუმროში 10 ათასი ნომერი იყო დაკავებული: 119 სასტუმროში 8773 ნომერი, დანარჩენ 45-ში - 1664. მათგან ოთხ ხუთვარსკვლავიანში 870 ნომერი იყო, 18-ოთხვარსკვლავიანში – 1807, 21 სამვარსკვლავიანში – 3242, 21 ორვარსკვლავიანში – 1010, ექვს ერთვარსკვლავიანში – 175, 49 კატეგორიამიუნიჭებელში კი – 2147 ნომერი.

საინფორმაციო ცენტრ "უკრაინა-2012"-ის ცნობით, დონეცკს 300 ათასი ტურისტი ესტუმრა, მათგან 57 ათასი თვითმფრინავით ჩაფრინდა, 70 ათასი - - რკინიგზით, დანარჩენები - საკუთარი ავტომობილით.

საერთაშორისო აეროპორტ "დონეცკს" დატვირთვის პიკი ესპანეთი-პორტუგალიის ნახევარფინალზე ჰქონდა: 232 რეისი 8 ათას მგზავრს მოემსახურა, სულ კი ტურნირის პერიოდში - 1337 რეისის 57 ათას მგზავრს.

დონეცკის საქალაქო ტრანსპორტმა უზარმაზარ დატვირთვას გაუძლო, რადგან განახლებულ-გაზრდილი ავტოფარეხი წინასწარ იყო შემზადებული. ამას გარდა, ძალიან მოხერხებული გამოდგა "ფან-ზონა – სტადიონის" რეისი, რომელზეც 32 ავტობუსი გამოიყო.

სულ დონეცკში 78 ავტობუსი, 140 ტრავმაი და 175 ტროლეიბუსი მუშაობდა. მათგან ტრანსპორტის 80 საშუალება ღამის 3 საათამდე დაასაქმეს.

სტადიონის გარშემო 15 პარკირების ზონა სტუმართა 2 ათასამდე მანქანითა და ავტობუსით იყო "ოკუპირებული". მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, სტადიონის გარშემო საცობები თითქმის არ შექმნილა და ტრანსპორტი გამართულად მუშაობდა.

სტუმრები დონეცკის 13118 ობიექტში დაბინავდნენ: 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების 1904 ნომერში, საერთო საცხოვრებელსა და სანატორიების - 7304, კემპინგ-პარკების – 3900 ნომერში. ესპანეთის-პორტუგალიის ნახევარფინალზე სასტუმროების 98 პროცენტი დაიტვირთა.

11-27 ივლისს სულ დონეცკში 63 785 ნომერი იქირავეს, მათგან სასტუმროებში 24774 ადგილი მხოლოდ ღამით დაიკავეს, 23654 – საერთო საცხოვრებლებსა და სანატორიუმებში, 15357 – კემპინგ-პარკებში.

ნახევარფინალის დროს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების 13 ბრიგადა მუშაობდა: 9 სტადიონზე, 3 ფან-ზონებში, 1 - კემპინგ-პარკებში. კიდევ რამდენიმე სამედიცინო პუნქტი მოქმედებდა.

1300 მოხალისე სხვადასხვა სფეროში მუშაობდა: 350 მათგანი 30 საინფორმაციო პუნქტს ემსახურებოდა, რომლის დახმარებითაც 15 ათასმა ტურისტმა ისარგებლა.

8-27 ივლისამდე ევრო-2012-ზე დონეცკის ფან-ზონამ ნახევარ მილიონ ადამიანს უმასპინძლა, მაგრამ რეკორდი კიევმა მოხსნა და 1,5 მილიონი ფანი მიიღო - ფინალის დღეს კიევში 350 ათასი ტურისტი ჩავიდა, ბევრმა კარვები ქუჩაში გაშალა.

ესპანეთის ნაკრების ფანები კიევის ქუჩებში

კიევს და დონეცკს დიდი მოთხოვნები იმიტომაც ჰქონდა, რომ პირველმა ფინალურ მატჩს უმასპინძლა, მეორემ - ნახევარფინალს და პლუს ჯგუფური ეტაპის შეხვედრებს. შესაძლოა, ასეთი მკაცრი მოთხოვნები სუპერთასის მასპინძლობაზე არც წამოგვიყენონ, მაგრამ ორიენტირად მაღალი თამასა უფრო გამოდგება, ვიდრე მინიმალური ზღვარი.

მაგალითად, "მიხეილ მესხი" 28 ათას მაყურებელს იტევს, ბილეთების 65 პროცენტი კი უეფას ეკუთვნის, ანუ 18200 ბილეთი. ამდენ ტურისტს სუპერთასზე უნდა გავუმკლავდეთ, მაგრამ თუ თბილისი ევრო-2020-ის ჯგუფური ეტაპის 2-3 შეხვედრას უმასპინძლებს, მაშინ საქართველოს დედაქალაქის დატვირთვა სამჯერ მაინც გაიზრდება.

... ევრო-2020-ის მასპინძელი 12 ქალაქიდან, უეფამ საქართველოში ერთიც თუ არ შეარჩია, 2015 წლისთვის მაინც ვალდებულები ვიქნებით, დღევანდელზე უკეთესი სტადიონი, ბაზები, სასტუმროები და ინფრასტრუქტურა გვქონდეს – საამისოდ საქართველომ უეფაში სამთავრობო, ფინანსური და ყველა მოთხოვნის შესრულების გარანტიები წარადგინა.

გასაკეთებელი, ბევრი კი არა, უზარმაზარია: სტადიონზე უნდა იყოს მინიმუმ 24 სატელევიზიო კამერის განსათავსებელი ადგილი, რომლითაც გარანტირებული იქნება მაღალ დონის ტელერეპორტაჟი.

საქართველოს 2 გუნდის მასპინძლობა მოუწევს და თითოეულს უნდა ჰქონდეს სავარჯიშო მოედნის არჩევის საშუალება. თანაც ყველა ელიტკატეგორიის უნდა იყოს. ამ კუთხით შედარებით ნაკლები პრობლემაა: თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრი "ბასა" ელიტკატეგორიის მოთხოვნებს მალე დააკმაყოფილებენ.

მარტო კარგი სტადიონი და ბაზები არ კმარა. ასეთი დონის მატჩის მასპინძლობა აეროპორტიდან და ქვეყნის ინფრასტრუქტურიდან იწყება. სადღეისოდ, თბილისში მაღალი კატეგორიის რამდენიმე სასტუმროა, პლუს მშენებარე და პროექტში მყოფი კიდევ რამდენიმე. ამას გარდა, საჭიროა ბევრი მცირე სასტუმრო და ოტელი.

საქართველოში განსაკუთრებულად მწვავე პრობლემა აეროპორტის გამტარუნარიანობა არის. დღეში მინიმუმ 100 ჩარტერული რეისის შესრულება დღეისათვის პრობლემური ჩანს, თუმცა, არა შეუძლებელი.

აუცილებელია აეროპორტების, მაგისტრალებისა და ტრანსპორტის (საზღვაო პორტებისა და სარკინიგზო სადგურების) მუშაობისა და ხარისხის გაუმჯობესება.

უეფა მასპინძელ ქვეყნისგან მოითხოვს, რომ ტურნირის დროს არ დაბეგროს უეფას ეგიდით გაყიდული პროდუქცია (სპორტული ატრიბუტიკა, გამაგრილებელი სასმელები), აგრეთვე, სარეკლამო ბანერები, შემოსავლები ბილეთებიდან...

ცხადია, ეს ყველაფერი ხარჯია, მაგრამ დიდ მოგებასაც უკავშირდება: მხოლოდ ეს ფაქტი რად ღირს – ფინალის დღეს კიევში 500 ათასი ლიტრი ლუდი შეისვა და 100 ათასი ჰოთდოგი შეიჭამა. ცხადია, ყველა მათგანი უეფას ხელდასხმული არ იქნებოდა. ასე რომ, ჩვენი ბიზნესმენების საყურადღებოდ – 2015 წლის 12 აგვისტოს თბილისში მცირე სასტუმროების მოწყობით, ლუდისა და სოსის-ძეხვეულის გასაღებით მთელი წლის შემოსავლის ანაზღაურება შეიძლება და თადარიგის დაჭერა ნამდვილად ღირს.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

ნავალოვსკი ისევ ვოლგაშია

ნიჟნელთა მაისურაზე ისევ ვაწაძე წერია

რუსეთში საფეხბურთო სეზონისათვის მზადება პირველი ლიგის კლუბებმაც დაიწყეს და ცნობილი გახდა, რომ პირველი ლიგის "ხიმკი" 12-მა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. მათ შორის არის გუნდის კაპიტანი, თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **გიორგი ნავალოვსკი**.

როგორც შემდეგ გაირკვა, ნავალოვსკი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" დაბრუნდა. დიახ, ეს მოულოდნელი ამბავია, მაგრამ თურმე გიორგის სატრანსფერო უფლება დღემდე "ვოლგას" ეკუთვნის, "ხიმკიში" იჯარის ვადა დაუსრულდა და ნიჟნინოვგოროდელებმა მისი გახანგრძლივება არ ისურვეს.

გიორგი საერთაშორისო ინტერნეტ-სააგენტოებმა უკვე "ვოლგას" განაცხადში შეიყვანეს. ნიჟნელებმა სეზონისწინა მოსამზადებელი ეტაპი საკუთარ ქალაქში დაიწყეს, შემდეგ კი თურქეთში გადაინაცვლეს.

გაჯი გაჯიევის გაწვრთნილებმა სამი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს – ირანის "სეპაჰანთან" (1:1), რუმინულ "ვიტორულთან" (1:0) და სოფიის ცსკასთან (2:1), მაგრამ გიორგის არც ერთი მატჩი არ უთამაშია, საქართველოს ნაკრების მცველი **გია გრიგალავა** კი სამივე მეტოქესთან მოედანზე იყო.

სახალისო ფაქტია: ბულგარელებთან შეხვედრისას, "ვოლგაში" მე-11 ნომრით მოასპარეზე ფეხბურთელს მაისურაზე **ვაწაძე** ეწერა, მაგრამ ცხადია, ეს შეცდომა იყო – მათე გორის "დილაშია", თუმცა ნიჟნელთა ფორმაზე მისი გვარი დღემდეა ამოტვიფრული.

მერაბ მამულაშვილი

სავარაუდო ტრანსფერი

თემურ შონია ჩიხურაში?

თბილისის "დინამოსთან" 0:7 წაგებული საკონტროლო მატჩის შემდეგ არავინ ელოდა, ცხინვალის "სპარტაკი" გორის "დილას" მედგარ წინააღმდეგობას თუ გაუწევდა. მაგრამ, ბევრისთვის მოულოდნელად, ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ცენტრ "ბასაზე" ჩატარებულ საკონტროლო მატჩში უმაღლესი ლიგიდან გავარდნილმა "სპარტაკმა" ძლიერ მეტოქესთან ფრედ, 2:2 ითამაშა.

"სპარტაკიდან" ორივე გოლი **თემურ შონიამ** გაიტანა, კიდევ რამდენჯერმე დაემუქრა მეტოქის კარს და საერთო ჯამში, სოლიდურად გამოიყურებოდა.

შემთხვევითი არ იყო, მატჩზე დამსწრე მცირეოდენი მაყურებელი გაოცებას რომ ვერ მალავდა – რა უნდა ასეთ ახალგაზრდას (შონია 22 წლისაა) პირველ ლიგაში, ნუთუ ამ ფეხბურთელით უმაღლესი ლიგის არც ერთი კლუბი არ დაინტერესდა?

ქართველმა გულშემატკივარმა ცხინვალელთა საყრდენი ნახევარმცველი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებებიდან გაიცნო, შონიამ "სპარტაკის" კაპიტნობა აზრიანი და მონდომებული თამაშით დაიმსახურა. თანაც, რაც მთავარია, კრიტიკულ ვითარებაში საკუთარ თავზე ინიციატივის აღება და საჭირო გოლების გატანა ეხერხება.

თუმცა, საეჭვოა, შონია "სპარტაკში" დარჩეს. როგორც კლუბში გვითხრეს, თემურს წასვლა სურს, მაგრამ მისი ახალი კლუბი ვერ დაგვიკონკრეტეს. ჩვენი ინფორმაციით კი მას საჩხერეს "ჩიხურა" იწვევს.

"საჩხერის "ჩიხურას" ინტერესზე მეც შევიტყვე, მაგრამ პირადად არავინ მოსულა და არც არავინ დამკავშირებია. სანამ არაფერი გადაწყდება, ვერ ვიტყვი, ინტერესი რეალურად არსებობს თუ არა. სხვა ვარიანტებსაც ველოდები, თუმცა სეზონის დაწყებამდე "სპარტაკში" ვვარჯიშობ და შევეცდები, ფორმა შევინარჩუნო. მაგრამ კონტრაქტი დამისრულდა და თავისუფალი აგენტი გავხდი. ახლა ჩემში მხოლოდ კომპენსაცია არის გადასახდელი," – გვითხრა შონიამ.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა განყოფილება სამძიმარს უცხადებენ ფიფას ასისტენტს ბესიკ ჭიჭინაძეს მამის გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 6, 7. VII. გამოსვენება: 8. VII 14 სთ-ზე.
მისამართი: გურამიშვილის 72ა.



ეროვნული ბიბლიოთეკა ფრანგული ჩემი ეარიერიდან

რამაზ შენგელია საზოგადოებამ დალუპა

სერგო კუტივაძე ფეხბურთში მრავლისმნახველი კაცია, თბილისის "დინამოს" დიდების პერიოდში **ნოდარ ახალკაცის** თანაშემწე გახლდათ, ცოტა ხნით დამოუკიდებლადაც გაუწვრთნია "დინამო"...

კუტივაძე კარგი მოსაუბრეა, ბევრი საინტერესო ამბავი იცის, ბევრი საინტერესო ისტორიის მონმეა, ბოლოს და ბოლოს, "დინამოში" ახალკაცის მისვლამდეც უმუშავია...

კუტივაძე ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს პროფკავშირების თავჯდომარედ, თუმცა მას სულ სხვა თემაზე ვესაუბრეთ...

ამ ცოტა ხნის წინ იმ "დინამოს" ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი და წარმატებული ფეხბურთელი გარდაიცვალა – **რამაზ შენგელია**. ის ისეთი იყო, ყურადღების ცენტრში ყოფნა რომ არ უყვარდა, არადა "დინამოსთვის" იმდენი გაუკეთებია, ბევრი რომ ვერ შეედრება...

შენგელია მართლაც ლეგენდარული მეგოლე იყო და მხოლოდ სიტყვით ძნელია იმის აღწერა, თუ რა გაქანების თავდამსხმელი გახლდათ...

კუტივაძეს კი შენგელიაზე მოსაყოლი მართლაც აქვს...

დავით თავართქილაძე

რამაზ შენგელია

ჯერ კიდევ მაშინ, როცა "დინამოში" **იაკუშინთან** ვმუშაობდი, ქუთაისის "ტორპედოდან" გვინდოდა ამ ფეხბურთელების გადმოყვანა: **რამაზ შენგელისი, თენგიზ სულაქველიძის და ზაურ სვანაძის** თუმცა იმ პერიოდში ეს ვერ მოხერხდა, ქუთაისელებს ეს მოთამაშეები არ ეთმობოდათ - ჩვენ გვჭირდებაო. მერე "დინამოს" მწვრთნელი უკვე **ნოდარ ახალკაცი** იყო და შენგელია, სულაქველიძე და **ოთარ გაბელია** გადმოვიყვანეთ "ტორპედოდან", სვანაძე კი მოგვიანებით მოვიდა "დინამოში".

შენგელია დუბლებში არ ყოფილა, პირდაპირ პირველ გუნდში მოვიდა, მას და **თამაზ კოსტავას** უკვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ჰქონდათ ნათამაშები.

რა უნდა ვთქვა შენგელიაზე? როცა ვუფიქრდები, უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვა, შენგელიას ფენომენი, ცოტა არ იყოს, პარადოქსული გახლდათ და ამავე დროს საინტერესოც - ცხოვრებაში ის ძალიან მშვიდი იყო, მოედანზე კი უკვე ლომი.

ხომ ნიჭიერი იყო, მაგრამ მისი ჭირვეულობა და წუწუნი მე არ მახსოვს. ვარჯიში არ ვარგა, ეს რატომ არ არის ასე, მე ამის გაკეთება არ მინდა - შენგელიასგან ასეთი რამე გამორიცხული იყო, რასაც მწვრთნელი დაავალებდა, ყველაფერს უსიტყვოდ ასრულებდა.

შენგელიასთვის არ გვითქვამს, კონკრეტულად ეს ხარვეზი გაქვს და და უნდა გამოასწორო-თქო, მან თვითონ იცოდა, რაზე უნდა ემუშავა ინდივიდუალურად. ვარჯიშის მერე მოედანზე რომ დარჩებოდა, ყველა პოზიციიდან დარტყმას ამუშავებდა, მეკარე კი ყვიროდა, შორიდანაც დამირტყითო, მაგრამ რამაზი უარობდა, შორიდან დარტყმა ჩემი საქმე არ არის, რაც მჭირდება იმას ვაკეთებო. შენგელია ვარჯიშებზე სულ იმას ცდილობდა, ერთი შეხებით-გადაეგზავნა ბურთი კარში.

რასაც გოლის გატანა ჰქვია, მაგ საქმეში ის პროფესიონალი იყო. არ მახსოვს, მეკარესთან პირისპირ გასულიყო და გოლი ვერ გაეტანოს. ბურთის შეგდების საოცარი ალღო ჰქონდა. მახსოვს, მოსკოვის „დინამოს" სტუმრად ვეთამაშებოდით და 0:1-ს ვაგებდით, **დავით მუჯირმა** მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა კარის გასწვრივ. მოსკოველთა საჯარიმოში ცხრა ფეხბურთელი იყო, ბურთი რვა მათგანს ასცდა, შენგელიას მიუვიდა და მასაც შანსი ხელიდან არ გაუშვია. რატომ მოხდა ყველაფერი ასე? იმიტომ, რომ შენგელიამ იცოდა, ბურთი საით წავიდოდა.

მისთვის სამაგალითო და მისაბაძი **გერდ მიულერი** იყო, რადგან ამ გერმანელს ნებისმიერი სიტუაციაში შეეძლო გოლის გატანა. შენგელია ახლოს იყო მიულერთან. სადაც უკვე წერტილის დასმა იყო საჭირო, შენგელიაც იქ გაჩნდებოდა.

არაერთისგან მოისმენდით, შენგელიას პასებით **დავით ყიფიანი** ამარაგებდა და ეს დიდად განაპირობებდა მის გოლეადორობასო. თქმა რად უნდა იმას, რომ დათოს არაჩვეულებრივი პასი ჰქონდა, მაგრამ შენგელია არავისზე არ იყო დამოკიდებული. როცა ყიფიანი ტრავმის გამო ვერ თამაშობდა, მას მაინც გაჰქონდა გოლები. აუცილებლად ყიფიანს უნდა შეესრულებინა გადაცემა შენგელიასთვის - ასე არ ყოფილა. რამაზი სულ იხსნებოდა და თავის მომენტს ელოდებოდა. შენგელია ორჯერ რომ დაასახელეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად, ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ ქვეყანაში მაშინ მასზე ძლიერი ბომბარდირი არ იყო.

შენგელიას კარგად ეხერხებოდა წინა ძელთან გასვლა და იქიდან გოლის შექმნა. წინა ძელთან როცა გადის თავდამსხმელი ბურთის დასახვედრად, მეკარეს უკვე უძნელდება საკუთარი პოზიციის შენარჩუნება, წინა ძელთან ჩაწოდების დროს პოზიცია იცვლება და მეკარესაც საქმე უძნელდება. შენგელიაც კარგად იყენებდა ამ ყველაფერს. ამბობდა, რა ჩემი საქმეა ბურთის გათამაშება, მე სხვა რამე უნდა გავაკეთოო.

მიხეილ, მესხი, სლავა მეტრეველი... ასეთებიც კი რჩებოდნენ ვარჯიშის მერე მოედანზე და ინდივიდუალურად აგრძელებდნენ წვრთნას. ასე იყო „დინამოს" მომდევნო თაობებშიც, ნოდარ ახალკაცი მეტყოდა ხოლმე, გამოყარე ეგენი მოედნიდან, ამდენი ვარჯიშით მოკვდებიანო.

როცა გუნდთან ერთად ვარჯიშობ, საკუთარ თავზე ჯეროვნად ვერ მუშაობ, კვადრატი, ორი გოლი,.. მხოლოდ ამით შეუძლებელია ხარვეზების გამოსწორება და ამიტომ ცალკე ვარჯიშიც აუცილებელია. შენგელიას ვეუბნებოდით, ცაციათი დარტყმაც კარგად დაამუშავე-თქო და ისიც, დიღმის ბაზაზე სპეციალური კედელი რომ იყო, ამაზე მუშაობდა. ბევრმა სწორედ „დინამოს" ბაზაზე ისწავლა თამაში...

დიუსელდორფის ფინალი ყველას გვახსოვს და მე თუ მკითხავთ, ყველაზე მაგარი პასი ის იყო, შენგელიამ რომ შეასრულა **ვლადიმერ გუცაევის** მისამართით. წარმოიდგინეთ, დინამიკაში, დაახლოებით სამ მეტრში ზუსტი და რბილი გადაცემა კეთდება, რომლის შემდეგ მხოლოდ კარში დარტყმაა საჭირო, პატარა ცდომილება და უკვე ბურთის დამუშავება გახდებოდა საჭირო და საგოლე მომენტიც ვერ შეიქმნებოდა. განა შენგელიას ის საგოლე პასი დიდ ოსტატობას არ ნიშნავს?!

იშვიათად, რომ შენგელიას ტრავმა მიეღოს, ის ხომ სულ მოძრაობაში იყო და მცველები მასთან უხეშობას ვერ ასწრებდნენ. როცა მეტოქე ვარდნაში წამოვიდოდა, შენგელია ახტებოდა და ტრავმას ასეთნაირადაც აღნევდა თავს. შენგელიას თამაში რომ გაარჩიოთ, დარწმუნდებით, დიდი ფეხბურთელი იყო, ვისთანაც ძალიან სასიამოვნო გახლდათ მუშაობა, რადგან მას არანაირი კაპრიზი არ ახასიათებდა.

გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე დავურეკე, მითხრა, კარგად ვარო... მართლაც გახარებული იყო, ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტად რომ დანიშნეს, მაგრამ ფაქტია, ფეხბურთელის კარიერის შემდეგ შენგელია ქართული ფეხბურთისთვის გამოუყენებელი დარჩა. ძალიან ცუდი შეგრძნებაა, როც ხედავ, რომ აღარავის სჭირდები, დაუსაქმებელი ხარ და სახლში ზიხარ. პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და, როცა ფედერაციის სათავეში **ზვიად სიჭინავა** მოვიდა, ბევრი ღვანლმოსილი ადამიანი დაასაქმა, „დინამო" კი ამ მიმართულებით არაფერს არ აკეთებს, არ ეხმარება ვეტერანებს...

მიმაჩნია, რომ შენგელია ჩვენმა საზოგადოებამ დალუპა. ადამიანის დაფასება და დახმარება ფულით არ იზომება, ადამიანმა უნდა იგრძნოს, რომ ის საჭიროა. როგორ გგონიათ, შენგელია იმას მაინც ვერ ასწავლიდა ფეხბურთელს, როგორ უნდა გახსნილიყო ბურთის მისაღებად? მაგრამ შენგელიას არავინ არ დაუძახა...

შენგელია და **შოთა არველაძე** - მათ მერე ქართულ ფეხბურთში მაღალი კლასის თავდამსხმელი არ გამოჩენილა. ახლანდელ ფეხბურთელებს ფეხბურთზე უფრო საკუთარი თავი უყვართ ფეხბურთში, ანუ მოტივაცია არ არის. რომ ლაპარაკობენ, სათანადო ინფრასტრუქტურა უნდა იყოსო, კი ბატონო, მაგას რა ჯობია, მაგრამ ახლაც კარგად მახსოვს, ლესელიძის ბაზაზე რკინის ლოგინზე რომ ეძინათ დიდ დინამოელებს და ერთი საერთო ტუალეტი და შხაპი რომ ჰქონდათ. იმ პლეადას ფეხბურთის თამაში უნდოდა და ფულზე ლაპარაკი არც კი იყო...

● დანიშვნა

საფეხბურთო ხორვაჭია შუკერს ჩააბარეს

ნაკრებში სტიმაჩის დანიშვნა ფაქტობრივად გადაწყვეტილია

ლეგენდარული ხორვატი ფეხბურთელი და გოლეადორი **დავორ შუკერი** ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთმა გმირმა ამ თანამდებობაზე **ვლატკო მარკოვიჩი** შეცვალა, რომელიც ხორვატულ ფეხბურთს 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ფედერაციის აღმასკომის წევრებმა 44 წლის შუკერი ერთხმად აირჩიეს – დავორი ამ პოსტზე მინიმუმ 2014 წლის ბოლომდე იმუშავებს.

ხორვატული ფეხბურთის ახალი მესაჭე დავორ შუკერი

ამასობაში, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად **იგორ სტიმაჩი** დაინიშნება, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივში" გადაბარგებულ **სლავენ ბილიჩს** შეცვლის. როგორც იცით, ამ უკანასკნელმა ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე განაცხადა, რომ ხორვატიის ნაკრებიდან მიდიოდა. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის ხორვატიის ნაკრებში შუკერთან ერთად სტიმაჩიც თამაშობდა და ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ იმ მუნდიალზე ხორვატებმა ყველასათვის მოულოდნელად მესამე ადგილი დაიკავეს.

დავორ შუკერმა კარიერა 1984 წელს, „ოსიეკში" დაიწყო და 2003 წელს მიუნხენში („1860") დაამთავრა. თავდამსხმელი სხვადასხვა დროს ზაგრების „დინამოს" (1989-1991), „სევილიას" (1991-1996), „რეალის" (1996-1999), „არსენალისა" (1999-2000) და „ვესტ ჰემის" (2000-2001) ღირსებას იცავდა.

გოტფრიდ ლენცი

● ტოტენჰემი

ვილაშ ბოაშის ცოცხი კარგად გვის

"ტოტენჰემის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ანდრე ვილაშ ბოაშმა** უკვე დაიწყო კონკრეტული იდეების დამუშავება შემადგენლობის გასაძლიერებლად. ჩრდილოლონდონელებს ამ ეტაპზე ეს ყველაზე მეტად აწუხებთო, ვერ გეტყვით, მაგრამ მალე პრობლემა თვალში საცემი რომ გახდება, ამის პროგნოზი ძალზე იოლია. "დეზების" ძირითადი მეკარეების ასაკი დიდი ხანია, საფეხბურთო სამყაროში კრიტიკულად მიიჩნევა. გუნდში 3 გოლკიპერი ირიცხება - 31 წლის **ეურელიო გომეში**, ვისაც ბოლო 2 წელია, თითქმის არ უთამაშია, 38 წლის **კარლო კუდიჩინი** და 41 წლის **ბრედ ფრიდელი**. უკანასკნელს ხელშეკრულება 2013 წლის 1-ელ ივლისს უმთავრდება და ფეხბურთიდან მიდის. პენსიაზე აპირებს გასვლას კუდიჩინიც. რაც შეეხება ბრაზილიელ გოლკიპერს, მას გულშემატკივრებთან ცუდი ურთიერთობა აქვს და ის, რომ ფეხბურთელი ჯერაც "ტოტენჰემშია", მხოლოდ იმის დამსახურებაა, რომ ის უბრალოდ არავინ წაიყვანა. ცხადია, რომ ამ პირობებში კვალიფიციური მეკარე გუნდს ჰაერივით სჭირდება. ვილაშ ბოაში მზადაა, "ლიონს" 25 წლის **უგო ლორისში** 10 მილიონი ფუნტი (12,53 მლნ ევრო) შესთავაზოს. ფრანგები მეკარეს 16 მილიონ ფუნტად (20 მლნ ევრო) აფასებენ. ამას გარდა, ახალგაზრდა პორტუგალიელი სპეციალისტი "აიაქსიდან" **იან ფერტონგენის** ტრანსფერზე მოლაპარაკებების განახლებასაც აპირებს და რაც მთავარია, ის მზადაა, "ჩელსის" კონკურენცია გაუწიოს და "პორტუდან" **ჰალკი** 35 მილიონ ფუნტად (43,85 მლნ ევრო) გადაიბიროს. ვილაშ ბოაშს იმედი აქვს, რომ ყოფილი შეგირდი მასთან თანამშრომლობაზე უარს არ იტყვის.

ანდრე ვილაშ ბოაში ტოტენჰემში საქმეს ენერგიულად შეუდგა

მოხიბლული სიგურდსონი

"ტოტენჰემის" ახალწვეულმა **გილფი სიგურდსონმა** იმ მიზეზებზე ილაპარაკა, თუ რატომ ამჯობინა "ტოტენჰემი" "ლივერპულს", გუნდს, სადაც მას ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** ელოდებოდა. *"მე მომწონდა როჯერსთან მუშაობა "სუონსიში". მისი მადლობელი ვარ ყველაფრისთვის, მაგრამ შემოთავაზებების განხილვის შემდეგ "უაით ჰართ ლეინი" ვამჯობინე. კლუბის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის შემდეგ კი მათი ამბიციური იდეებით მოვიხიბლე. ამ გუნდს დიდი გეგმები აქვს და მინდა, რომ ამ გეგმის ნაწილი მეც ვიყო. მომეწონა ანდრე ვილაშ ბოაშის ფილოსოფიაც. მას სჯერა ჩემი და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს მოლოდინი გავამართლო. გუნდს მსოფლიოს კლასის ფეხბურთელები ჰყავს და შემტევ ფეხბურთს თამაშობს,"* – განუცხადა 22 წლის ისლანდიელმა "დეილი მეილის" ჟურნალისტს.

ლევან გიგილაშვილი

● ვერდერი

მუსიკოსებმაც დაიწყეს

ნალდო რჩება, ელია მოდის?

დორტმუნდის „ბორუსიას", „ბაიერნის", „შტუტგარტისა" და „ჰამბურგის" შემდეგ, ახალი სეზონისთვის მზადებას გუშინ კიდევ ერთი ამბიციური გერმანული კლუბი, „ვერდერიც" შეუდგა. ბრემენელებმა გულშემატკივრებს პირველ ვარჯიშზე ოთხი ახალწვეული წარუდგინეს, ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ორი ფეხბურთელი კი ჯერ კიდევ არ არის **თომას შააფის** განკარგულებაში.

გახსნით ვარჯიშზე „ვერდერის" ფორმები პირველად მოირგეს „ბაიერნიდან" არენდით აყვანილმა თავდამსხმელმა **ნილს პეტერსენმა**, დიუსელდორფის „ფორტუნადან" ნაყიდმა მცველმა **ასანი ლუკიმიამ** და ახალმა მეკარეებმა, **რაფაელ ვოლფმა** (კაპფენბერგიდან) და **რიხარდ შტრებინგერმა** (ჰერტა II-დან).

შეგახსენებთ, რომ „მუსიკოსებმა" მომავალი სეზონისთვის ლიბერეცის „სლოვანიდან" ჩეხეთის ნაკრების მარჯვენა მცველი **თეოდორ გებრე სელასიეც** გადაიბირეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ევრო 2012-ის გამო ჯერ კიდევ შვებულებაშია. პირველ ვარჯიშს იმავე მიზეზით დააკლდა ბერძენი უკანახაზელი **სოკრატის პაპასტატოპულოსიც**. ისინი გუნდს 13 ივლისს შეუერთდებიან.

ნალდო: არსადაც არ მივდივარ!

ამასობაში, „ვერდერის" ბრაზილიელმა მცველმა **ნალდომ** უარყო მოარული ხმები იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბრემენიდან წასვლას და სამშობლოში დაბრუნებას აპირებდეს. *„ვერდერიდან" წასვლას არ ვაპირებ, ბრაზილიაში დაბრუნება კი ამ ეტაპზე საერთოდ გამორიცხულია. მომავალ სეზონსაც აუცილებლად ბრემენში გავატარებ,"* - უთხრა 29 წლის ცენტრალურმა მცველმა „ბილდს".

ამავდროულად, „მუსიკოსების" სპორტულმა დირექტორმა **კლაუს ალოფსმა** დაადასტურა, რომ „ვერდერი" „იუვენტუსის" ჰოლანდიელი გარემარბის, **ელჯერო ელიას** გადაბირებას ცდილობს. მოლაპარაკებები დიდი ხნის დაწყებულია და ალოფსი 25 წლის ფეხბურთელს ყველაფერზე შეუთანხმდა, „იუვენტუსთან" მოლაპარაკებები კი გრძელდება. ტურინელებს ელიას გაყიდვა და მის სანაცვლოდ 7 მილიონი ევროს აღება სურთ, „ვერდერი" კი მხოლოდ ერთწლიანი არენდითაა დაინტერესებული. გუშინ ჰოლანდიელი ბრემენში ჩავიდა, ტრანსფერი გადაწყვეტილი არ იყო...

გოტფრიდ ლენცი

მწვრთნელი თომას შაფი (შუაში) და ვერდერის ახალწვეულები

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგელ ველოზუ

პორტუგალიელი დინამოში

4 ივლისს, ოთხშაბათს კიევის "დინამომ" და "ჯენოამ" პორტუგალიელი საყრდენი ნახევარმცველის, 26 წლის **მიგელ ველოზუს** ტრანსფერის დეტალები საბოლოოდ შეათანხმეს და ამის შესახებ ინფორმაცია გუშინღა გაავრცელეს. ლაპარაკი ამ გარიგებაზე ჯერ კიდევ ევრო 2012-ის დაწყებამდე მიდიოდა, მაგრამ ჩემპიონატის მიმდინარეობისას ველოზუს საკლუბო კარიერისთვის არ ეცალა. "დინამომ" იტალიურ კლუბს 7,5 მილიონი ევრო გადაუხადა, ფეხბურთელს კი ხელშეკრულება 2016 წლის ივლისამდე გაუფორმა. პორტუგალიელის შეძენას "დინამოს" გარდა "ატლეტიკო" და "მილანიც" გეგმავდნენ, მაგრამ... "როსონერი" რბოლას მას შემდეგ ჩამოშორდა, რაც ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** კიეველთა სპორტულ დირექტორს, მილანელთა ყოფილ სკაუტ **რეზო ჭოხონელიძეს** პირადად შეხვდა.

"დიახ, ჩვენ ნამდვილად გვინდოდა ველოზუს "მილანში" მოყვანა, მაგრამ "დინამომ" დაგვასწრო," – თქვა გალიანიმ. უნდა აღინიშნოს, რომ "მილანს" პორტუგალიელის არა შეძენა, არამედ ერთწლიანი იჯარით წაყვანა სურდა. *"დინამოს" ინტერესზე მე უშუალოდ ვეროს დროს შევიტყვე. მოვიხიბლე იმით, რომ ამ გუნდს წინ ამბიციური გეგმები აქვს როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაშიც. თანაც მესმის, რომ აქ თამაში პრესტიჟულია. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა საბოლოოდ ჩემი გადაწყვეტილება. სიმართლე გითხრათ, ბევრი კლუბის ინტერესზე მსმენოდა, მაგრამ "დინამო" ყველაზე აქტიური გახლდათ,"* - თქვა თავად ფეხბურთელმა.

გუტი ვესტ ჰემში

"რეალისა" და "ბეშიქთაშის" 35 წლის ყოფილი ნახევარმცველი **გუტი** შესაძლოა "ვესტ ჰემში" გადავიდეს. თურქული კლუბიდან ნამოსვლის შემდეგ ის თავისუფალი აგენტია და შესაბამისად, "ჩაქუჩებს" მისი გადაბირება არაფერიც არ დაუჯდებათ. მოსალოდნელია, რომ ვეტერანი ესპანელი ლონდონელებთან კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს.

ლევან გიგილაშვილი

იანსენის ახალი კონტრაქტი და მიზნები

„ჰამბურგის" მარცხენა გარემარბმა **მარსელ იანსენმა** ჩრდილოგერმანულ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და HSV-ს თავისი ბედი 2015 წლამდე დაუკავშირა, რის შემდეგაც ჟურნალისტების წინაშე წარსდგა.

„მომავალი სეზონი „ჰამბურგისთვის" გაცილებით უკეთესი უნდა იყოს. ეს არის გუნდი, რომელიც გადარჩენისთვის არ უნდა იბრძოდეს და ეს ყველა ფეხბურთელმა კარგად უნდა შეიგნოს. ვფიქრობ, გუნდს ნამდვილად აქვს ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლის პოტენციალი," - განაცხადა 26 წლის იანსენმა, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 36 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ ბოლო დროს ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** აღარ იძახებს ხოლმე.

ტასკიმ ბარსელონა უარყო

წინა კვირაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ბარსელონა" „შტუტგარტის" მცველითა და კაპიტნით, **სერდარ ტასკით** იყო დაინტერესებული. 25 წლის ცენტრალური მცველი ამ თემას „შტუტგარტერ ნახრიხთენისთვის" მიცემულ ინტერვიუში გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „ბარსელონადან" მას არავინ შეხმიანებია.

„ასი პროცენტით „შტუტგარტზე" ვარ კონცენტრირებული. მართალია, მეც შევიტყვე, რომ თურმე „ბარსელონას" ვაინტერესებ, მაგრამ ეს ჭორია, რადგან ესპანეთიდან არავის დაურეკავს," - განაცხადა ტასკიმ, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 14 მატჩი აქვს ჩატარებული, „შტუტგარტთან" კი კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს.

ვოლფსბურგმა სისოკო პანათინაიკოსს ითხოვა

„ვოლფსბურგმა" შემტევი ნახევარმცველი **იბრაჰიმ სისოკო** „პანათინაიკოსში" გაანათხოვრა – 20 წლის მარჯვენა გარემარბის საარენდო ხელშეკრულება ერთწლიანია და სისიკო საბერძნეთში 2013 წლის ივნისამდე ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა კოტ დ'ივუარელი ფეხბურთელი „ვოლფსბურგში" იანვარში, პორტუგალიური „აკადემიკადან" გადავიდა და ბუნდესლიგის გასული სეზონის მეორე ნახევარში „მგლებს" მხოლოდ ორ შეხვედრაში დაეხმარა.

„პანათინაიკოსში" სისიკოს სათამაშო პრაქტიკა ექნება და იმედი მაქვს, რომ გაისად გაცილებით უკეთესი ფეხბურთელის რანგში დაგვიბრუნდება," - ეს „ვოლფსბურგის" მწვრთნელისა და მენეჯერის, **ფელიქს მაგათის** სიტყვებია.

აქვე გეტყვით, რომ „ვოლფებმა" ბრაზილიელი გამამაშებელი **დიეგო**, რომელიც გასულ სეზონში „ატლეტიკოში" გახლდათ განათხოვრებული, რამდენიმე დღით ბრაზილიაში გაუშვეს, სადაც ფეხბურთელი ტრავმას მოიშუშებს. მაგათმა მოსამზადებელ შეკრებაზე არც **პატრიკ ოხსი, ალექსანდერ მადლუნგი** და **ვიერინა** ნაიყვანა – ისინიც დაშავებულები არიან. **მაკოტო ჰასუბე, აშკან დეჟაგა** და ასევე ევრო 2012-ის მონაწილე ფეხბურთელები **სიმონ კიაერი, თომას კალენბერგი, პეტრ ირჟაჩეკი** და **ვაცლავ პილარი** „ვოლფსბურგს" მოგვიანებით შეუერთდებიან.

ბარნეტას გეგმები შალკეში

შვეიცარიელი გარემარბი **ტრანკუილო ბარნეტა** „ლევერკუდენიდან" „შალკეში" გადავიდა და „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში თავის გეგმებზე ისაუბრა: *„ვფიქრობ, „შალკეს" უპირველესი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება უნდა იყოს, თუმცა თუ ყველაფერი კარგად იქნება, შეგვიძლია, გერმანიის ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლოთ."*

გოტფრიდ ლენცი

უცხოური ფეხბურთი

● საფრანგეთის ნაკრები

საფრანგეთს თბილისში ზიდანი ჩამოიყვანს?

"ეკიპის" ინფორმაციით, "რეალის" სპორტული დირექტორი **ზინედინ ზიდანი** იმ სპეციალისტებს შორის დასახელდა, რომელთაც, შესაძლოა, საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნა ანდონ. ფედერაციაში მიაჩნიათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ 40 წლის ვარსკვლავს სამწვრთნელო პრაქტიკა არ აქვს, შეუძლია პოსტიდან გადამდგარი **ლორან ბლანის** შეცვლა. **დიდიე დეშამის** უარის შემდეგ "მამლების" თავკაცობის შანსი ზიზუს გარდა **პოლ ლე გენს** აქვს. ივნისის ბოლოს, იქამდე, ვიდრე ბლანი გადადგებოდა, ზიდანმა "კანალ პლუსს" განუცხადა, რომ ეროვნულ გუნდთან სიამოვნებით იმუშავებდა, მაგრამ მან ეს პერსპექტივაში იგულისხმა, ასე ათი წლის შემდეგო, განაცხადა მან.

● ლიგა 1. ტრანსფერები.

ფრანგული ბაზარი პსჟ: ესეკილ ლავესი მხოლოდ დასაწყისია

ფრანგული ლიგა 1-ის სატრანსფერო ბაზარი, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ჯერ ბოლომდე არ გახურებულა. გუნდებმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს. ზოგმა უკვე მოასწრო მომდევნო სეზონისთვის სერიოზული შევსების მიღება (ბრესტი), ზოგი ჯერჯერობით პასიურობს (მარსელი). საფეხბურთო ექსპერტები ყველაზე ხმაურიან გარიგებებს, რა თქმა უნდა, "პარი სენ-ჟერმენისგან" ელიან. დედაქალაქელებმა ჯერჯერობით მხოლოდ ესეკილ ლავესი შეიძინეს და მასში 26 მილიონი ევრო გადაიხადეს. ზოგადად ფრანგული ფეხბურთისთვის დიდი დანაკლისი იყო "ლილიდან" ედენ აზარისა და "მონპელიედან" ოლივიე ჟირუს წასვლა. სამაგიეროდ, "ძაღლებმა" ("ლილის" მეტსახელია) "სოშოდან" მარვენ მარტენი გადაიბირეს, ჩემპიონებს კი საუკეთესო ბომბარდირის შემცვლელი ჯერ არ უპოვიათ. დანარჩენ ამბებს ქვემოთ გაეცნობით.

პარი სენ-ჟერმენს ნაპოლიდან ესეკილ ლავესის გადაბირება 26 მილიონი ევრო დაუჯდა

მონპელიე

მოვიდნენ: მუნიე (ნიცა) – 3,5 მლნ; შარბონიე (ანჟერი) – 1,5 მლნ; კონრე (ტულუზი) – 5 მლნ.

წავიდნენ: ლაკომბი (კლერმონი) – თ.ა; დერნი (ბრესტი) – თ.ა; ჟირუ (არსენალი) – 15 მლნ; იუნეშამი (დაასრულა კარიერა)

პარი სენ-ჟერმენი

მოვიდნენ: ლავესი (ნაპოლი) –26 მლნ;

წავიდნენ: ნ'გოი (ტრუა) – თ.ა; სეარა (კრუზეირო) – თ.ა; ევერტონ სანტოსი (სონამ ილვა) – თა.

ლილი

მოვიდნენ: კლონარიდისი (აეკ) – 0,8 მლნ; მარტენი (სოშო) – 10 მლნ; ელანა (ბრესტი) – თ.ა.

წავიდნენ: აზარი (ჩელსი) – 40 მლნ.

ლიონი

მოვიდნენ: არავინ

წავიდნენ: ბელფოდილი (პარმა) – 2,5 მლნ; კოლოვჯეიჩაკი (ნიცა) – თ.ა; ფონტენი (ტური) – თ.ა; სეგინი (ტური) – თ.ა; ედერსონი (ლაციო) - თ.ა.

ბორდო

მოვიდნენ: არავინ

წავიდნენ: კონონგო (ევიანი) - თ.ა; კრიხოვიაკი (რეიმსი) – 0,8 მლნ; სანე (ნანსი) – 1,2 მლნ.

რენი

მოვიდნენ: ალესანდრინი (კლერმონი) – 2 მლნ; დიალო (ბასტია) – 3 მლნ.

წავიდნენ: ჰაჯი (ალ არაბი) – თ.ა; კარასო (მეცი) – იჯარა

სენტ ეტიენი

მოვიდნენ: კოადი (ვალანსიენი) – თ.ა;

წავიდნენ: ფერნანდესი (სპორტინგ ლ) – 3,5 მლნ; რევე (ანჟერი) – იჯარა; ნერი (ვალანსიენი) – 0,8 მლნ; ბატლე (კარიერა დაასრულა)

ტულუზი

მოვიდნენ: ბლონდელი (ტრუა) – თ.ა; ზებინა (ბრესტი) – თ.ა.

წავიდნენ: უმუთ ბულუთი (გალათასარაი) – იჯარა; რიუ (ნანტი) – თ.ა; კონრე (მონპელიე) – 5 მლნ; ფოფანა (რეიმსი) – თ.ა.

ევიანი

მოვიდნენ: გიიო (შამბერი) – თ.ა; ვასი (ბენფიკა) – 2,5; კონონგო (ბორდო) – თ.ა.

წავიდნენ: ვესბერგი (ლუცერნი) – თ.ა; ფარინა (ენერგი) – თ.ა; ლერუა (დაასრულა კარიერა)

მარსელი

მოვიდნენ: არავინ

წავიდნენ: არავინ

ნანსი

მოვიდნენ: მანიანი (მონაკო) – თ.ა; მოლო (გრანადა) – 2 მლნ; აიასი (არლი) - თ.ა; სანე (ბორდო) – 1,2 მლნ; დამფა (ქსამაქსი) - თ.ა; გრანჟი (შატორუ) - თ.ა.

წავიდნენ: ზოლა (ავრი) - თ.ა; ჟანო (შატორუ) - თ.ა; ტრაორე (მილანი) - თ.ა; კალვე (კანი) - თ.ა; დიაკიტე (ქუინზ პარკი) – 4 მლნ.

პალანსიენი

მოვიდნენ: ნერი (სენტ ეტიენი) – 0,8 მლნ.

წავიდნენ: პალოი (ნიორი) - თ.ა; მფუი (სერვეტი) - თ.ა; კოადი (სენტ ეტიენი) - თ.ა.

ნიცა

მოვიდნენ: ჟენევუა (ტური) - თ.ა; კოლოჯეიჩაკი (ლიონი) - თ.ა; ბოტე (დიჟონი) - თ.ა.

წავიდნენ: ვერონეზე (ისტრი) – იჯარა; მუნიე (მონპელიე) – 3,5 მლნ; ელებიუკი (კარიერა დაასრულა), მულუნგი (ალ ვაჰდა) - თ.ა.

სოშო

მოვიდნენ: დუბაი (უდინეზე) – 3 მლნ; კანტე (პანათინაიკოსი) - თ.ა; დაფი (ბრესტი) - თ.ა.

წავიდნენ: მარტენი (ლილი) – 10 მლნ.

ბრესტი

მოვიდნენ: რასპენტინო (ნანტი) - თ.ა; მენდი (ოდენსე) - თ.ა; შაფნი (ოსერი) - თ.ა; დერნი (მონპელიე) - თ.ა; ტრაორე (სედანი) - თ.ა.

წავიდნენ: ევოლო (ლავალი) - თ.ა; ზებინა (ტულუზი) - თ.ა; პოიეტი (კანი) - თ.ა; დაფი (სოშო) - თ.ა; ელანა (ლილი) - თ.ა.

აჯაჩო

მოვიდნენ: ბელჰაზუანი (ვარეგემი) - თ.ა; დიარა (ლორიანი) - თ.ა; სისოკო (მეცი) - თ.ა; ფატი (არისი) - თ.ა;

წავიდნენ: პულარი (დაასრულა კარიერა); დებე (დაასრულა კარიერა).

ლორიანი

მოვიდნენ: არავინ

წავიდნენ: დიარა (აიაჩო) - თ.ა.

ბასტია

მოვიდნენ: პალმიერი (ისტრი) - თ.ა;

წავიდნენ: რობეი (ნიმი) - თ.ა; დიალო (ბასტია) – 3 მლნ; სუარესი (არლო) - თ.ა; პერიატემბე (დაასრულა კარიერა)

რეიმსი

მოვიდნენ: ტუდიჩი (ლანსი) – იჯარა; ფოფანა (ტულუზი) - თ.ა; სინიორინო (ლავალი) - თ.ა; კრიხოვიაკი (ბორდო) – 0,8 მლნ; ფავერეი (სედანი) – სედანი – 0,6.

წავიდნენ: კოჯა (ნიორი) – იჯარა, ტენმონი (შატორუ) - თ.ა; ფონტენი (რუა) - თ.ა; ამალფიტანო (ნიუკასლი) - თ.ა; დეო (შატორუ) - თ.ა.

ტრუა

მოვიდნენ: ფოპე-ფენეპეი (მაჯენტა) - თ.ა; დარბიონი (შკოდა) - თ.ა; ნ'გოიი (პსჟ) - თ.ა; ნივე (კანი) - თ.ა.

წავიდნენ: ბარეტო (სენ რაფაელი) – იჯარა, ფილიპონი (კრეტეი) – იჯარა; ბლონდელი (ტულუზი) - თ.ა; კეიტა (რუა) – იჯარა; პეში (ორლეანი) – იჯარა, ბოვე (შატორუ) - თ.ა.

*შენიშვნა: **თ.ა.** - თავისუფალი აგენტი*

● არსენალი

რობინ ვან პერსი არსენალიდან მიდის

გუშინდელ ნომერში **რობინ ვან პერსიზე არსენ ვენგერის** კომენტარი გაგაცანით, მადლობა ღმერთს, "არსენალის" ლიდერს გუნდიდან წასვლა არ აქვს გადაწყვეტილიო. მას მერე 24 საათი გავიდა და უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ფრანგი სპეციალისტი მწარედ შეცდა და რომ ჰოლანდიელი კლუბთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ გეგმავს. "მეთოფეებთან" მისი კონტრაქტი 2013 წლის 1-ელ ივლისს იწურება. ახლა უკვე კლუბმა უნდა გადაწყვიტოს, რა უღირს, 15 მილიონი ფუნტის აღება, თუ ერთი წლის მერე ვან პერსის უკომპენსაციოდ გაშვება. "არსენალიდან" წასვლის მიზეზებზე ფეხბურთელმა საკუთარ ვებგვერდზე ილაპარაკა:

- მე მთელი ბოლო პერიოდი ვდუმდი, რადგან კლუბს ძალიან დიდ პატივს ვცემ და მის მიმართ ლოიალურად გახლდით განწყობილი. ამას გარდა, სიტყვიერად ვიყავი შეთანხმებული ხელმძღვანელობასთან, მათ შორის არსენ ვენგერთანაც. თუმცა მასმედიაში ჩემს მომავალთან დაკავშირებული სპეკულაციების გამო იძულებული ვარ, ყველაფერზე გულახდილად ვილაპარაკო, რადგან ასე უფრო სამართლიანი იქნება. როგორც პრესაში დაინერა, სეზონის დასრულების შემდეგ შევხვდი კლუბის დირექტორატის წევრებს, უშუალოდ ივან გაზიდისსაც. განვიხილეთ კლუბის სამომავლო სტრატეგია და მისი პოლიტიკა. ფინანსურ დეტალებზე და კონტრაქტზე არაფერი გვითქვამს, რადგან ჩემთვის ეს პრიორიტეტი არასოდეს ყოფილა.

პირადად ჩემთვის უკანასკნელი სეზონი ბრწყინვალედ წარიმართა, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანი სხვა რამეა - მოვიგო ტიტულები ჩემს გუნდთან ერთად. სწორედ ვენგერის, ფანებისა და თანაგუნდელებისადმი უდიდესი პატივისცემის გამო მინდა, რომ ამ შეხვედრის შესახებ გესაუბროთ და გითხრათ, რომ ვერც ერთ საკითხზე საერთო ენა ვერ გამოვნახეთ. დიდხანს ვფიქრობდი, თუ როგორ მოვქცეულიყავი და ბოლოს გადავწყვიტე, რომ ხელშეკრულება აღარ გამეგრძელებინა. თქვენ, გულშემატკივრები ჩემს გადაწყვეტილებას შეიძლება არასოდეს დაეთანხმოთ, მაგრამ მე თქვენ პოზიციის მიმართ ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიქნები განმსჭვალული. რაც უნდა მოხდეს, "არსენალი" და მისი ფანები ყოველთვის მეყვარება. მე გავიზარდე, როგორც ამ გუნდის მოთამაშე. კლუბში მუდმივად მხარში მედგნენ წლების განმავლობაში. ჩემი მხრივ მეც ყველაფერს ვაკეთებდი მისთვის როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. ვამაყობ, რომ 8 წლის განმავლობაში ამ ფანტასტიკური კლუბის წევრი ვიყავი. ინფორმაციას მომავალშიც ჩემი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მოგაწვდით.

ოფიციალური განცხადება გააკეთა "არსენალის" საიტმაც. აი, რა წერია იქ: *"ჩვენ პატივი უნდა ვცეთ რობინ ვან პერსის გადაწყვეტილებას, რომ კლუბთან თანამშრომლობას აღარ გააგრძელებს. ხელშეკრულების ამოწურვამდე ერთი წელი დარჩა. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ რობინი ვალდებულებას ბოლომდე შეასრულებს. ჩვენს კლუბს ამბიციური გეგმები აქვს მომდევნო სეზონთან დაკავშირებით".*

"დეილი მირორის" ცნობით, "ეტიჰადზე" ეს ამბავი გაიგეს თუ არა, ფეხბურთელის გადასაბირებლად ახალი გეგმა შეადგინეს. გამოცემის მტკიცებით, "ქალაქელები" მზად არიან, "არსენალს" 25 მილიონი ფუნტი შესთავაზონ, ჰოლანდიელს კი წელიწადში 14,5 მილიონი ევრო აძლიონ. "დეილი მეილის" ინფორმაციით კი, 28 წლის სუპერფორვარდის ხელში ჩაგდების პერსპექტივამ "მანჩესტერ იუნაიტედიც" მოხიბლა. "ეშმაკები" მზად არიან "მეთოფეებთან" მოლაპარაკება უახლოეს დღეებში დაიწყონ.



რობინ ვან პერსი

● ამბები

მარსელი ელი ბოპმა ჩაიბარა

"მარსელის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუნდის მთავარ მწვრთნელად 57 წლის **ელი ბოპი** დაინიშნა. მხარეები 2-ნლიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. 3 წლის წინ "ნანტიდან" წასვლის შემდეგ სპეციალისტი უმუშევარი გახლდათ. ის ლიგა 1-ში "სენტ ეტიენს", "ტულუზსა" და "ბორდოსაც" წვრთნიდა. ჟირონდელებთან ერთად 1999 წელს მან ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიგო. *"დიახ, ელი ბოპი ჩვენი ახალი დამრიგებელია. ახლა ის კრანს-მონტანში გაემგზავრება, სადაც ფეხბურთელები წინა კვირის მერე შეკრებაზე იმყოფებიან. საზოგადოების წინაშე მისი წარდგენა, ოთხშაბათს, 11 ივლისს მოხდება,"* – განაცხადა "მარსელის" წარმომადგენელმა.

ჯაგავა ჯერ ვერ ვარჯიშობს

"მანჩესტერ იუნაიტედმა" გუშინ კერინგტონის ბაზაზე შეკრება დაიწყო, თუმცა **შინჯი კაგავას** გუნდთან ერთად არ უვარჯიშია, რისი მიზეზიც დოკუმენტებთან დაკავშირებული გაუგებრობაა. საქმე ის არის, რომ ბრიტანეთის შრომის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც იაპონელს ინგლისში მუშაობის უფლებას აძლევს, ფიზიკურად ფილიპინების დედაქალაქ მანილაშია და იქამდე, ვიდრე ეს საბუთი "ეშმაკების" ოფისში არ მივა, ფეხბურთელი ვერ ივარჯიშებს. სავარაუდოა, რომ პრობლემა უახლოესი 24 საათის განმავლობაში მოგვარდება. ერთ კვირაში გუნდი ჯერ სამხრეთ აფრიკაში წავა შეკრებაზე, შემდეგ ჩინეთში. კაგავა გუნდს ორივეგან გაჰყვება.

თინეიჯერი ოლდ ტრეფორდზე

"მანჩესტერ იუნაიტედმა" "ექსეტერ სიტიდან" 16 წლის ნახევარმცველი **შონ გოსი** 100 ათას ფუნტად შეიძინა. **ალექს ფერგიუსონმა** თინეიჯერი ფეხბურთელის თამაში ამ გაზაფხულზე ჰოლანდიის იუნიორთა ტურნირზე ნახა და აღფრთოვანდა. *"ამაზე მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი. სუნთქვაშეკრული ველოდები იმ მომენტს, როცა "მანიუს" ფორმით მინდორზე გამოვალ. ბოლო დღეებში თითქოს სიზმარში ვცხოვრობ. "იუნაიტედის" ფეხბურთელებს ახლოდან ვხედავ და კლუბის კუთვნილი ბაზა დავათვალიერე,"* – ამბობს შონ გოსი.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. ტრანსფერები

შტილი ქარიშხლის წინ?

ლა ლიგაში ჯერ მცირე ცვლილებებია

ბოლო დღეებში ლა ლიგაში განხორციელებული ტრანსფერები

თარიღი	ფეხბურთელი	საიდან	სად	თანხა
2 ივლ	ხავი მარკესი	ესპანიოლი	მალიორკა	1,2 მლნ. ევრო
2 ივლ	სერხიო ტეხერა	მალიორკა	ესპანიოლი	თავ. აგენტი
2 ივლ	ინიგო დიას დე სერიო	ბილბაო	მირანდესი	თავ. აგენტი
2 ივლ	ჯოელ კემპბელი	არსენალი	ბეტისი	იჯარა
2 ივლ	ფელიპე რამოსი	დეპორტივო	ვალენსია B	იჯარა
3 ივლ	დეიან ლეკიჩი (სერბ)	ოსასუნა	გენჩლერი	თავ. აგენტი
4 ივლ	ხავიერ არისმენდი	ხეტაფე	მალიორკა	თავ. აგენტი
4 ივლ	ხუან კარლოს პერესი	სარაგოსა	ბეტისი	იჯარა
4 ივლ	დევიდი	სევილია	ლას პალმასი	თავ. აგენტი

ხავიერ არისმენდი მალიორკაში პრეზენტაციაზე

გაცვლას პლუს მილიონი

კატალონიური „ესპანიოლი" და ბალეარული „მალიორკა" შეთანხმდნენ - ამიერიდან, ნახევარმცველი **ხავი მარკესი** „მალიორკაში" ისპარეზებს, ხოლო **სერხიო ტეხერა** - „ესპანიოლში". თუმცა ეს არ იყო პირდაპირი გაცვლა, კუნძულელებმა მარკესის ხელში ჩასაგდებად ტეხერა და 1,2 მილიონი ევრო გაიღეს.

ხავიერ მარკესი 26 წლის საყრდენი ნახევარმცველია, ის „ესპანიოლის" სკოლის აღზრდილია და აქამდე „ესპანიოლის" გარდა სხვა კლუბში არ უასპარეზია. ბოლოს მარკესის მომავალს სხვა უფრო ცნობილ კლუბებს უკავშირებდნენ. მას „ესპანიოლთან" ხელშეკრულება 2013 წლის ზაფხულამდე ჰქონდა, თუმცა ახალ შემოთავაზებაზე უარი თქვა. ამის გამო მარკესი კლუბში მოიძულეს. „ესპანიოლის" შემადგენლობაში ხავი მარკესმა ლა ლიგაში 53 მატჩი გამართა და 3 გოლი გაიტანა. 22 წლის სერხიო ტეხერაც „ესპანიოლის" სკოლის აღზრდილია. ერთხელ, ესპანეთის 15-წლამდელთა ნაკრების მატჩისას ის „ჩელსის" სკაუტმა **ფრენკ არნესენმა** შეამჩნია და ლონდონურ კლუბში წაიყვანა. „ჩელსის" პირველ გუნდში მას თამაშმა არ მოუწია (მხოლოდ სარეზერვოში), 2009 წელს კი „მალიორკაში" გადავიდა, სადაც 20 წლის ასაკში ჰქონდა ლა ლიგაში დებიუტი. მას მერე სერხიომ 31-ჯერ მოირგო „მალიორკას" მაისურა.

კუნძულელთა მესამე შენაძენი

ანტონიო ლოპესისა და ხავი მარკესის შემდეგ, „მალიორკამ" მესამე ფეხბურთელთან გააფორმა ხელშეკრულება - ეს ფორვარდი **ხავიერ არისმენდია**. *„მოხარული ვარ, რომ „მალიორკაში" ვითამაშებ. ჩემთვის ახლა უმნიშვნელოვანესია, რაც შეიძლება მალე შევეწყო ახალ გუნდს"*, - განაცხადა პრეზენტაციაზე არისმენდიმ. 28 წლის არისმენდი „ატლეტიკოს" აღზრდილია, თუმცა „ატლეტიკოს" გარდა „რასინგში", „დეპორტივოში", „ვალენსიაში", „სარაგოსასა" და შვეიცარიულ „ქსამაქსში" უთამაშია. არისმენდი ბოლოს „ხეტაფეში" გამოდიოდა. სხვათა შორის, ტანმაღალმა ფორვარდმა ერთხელ „ფურია როხას" მაისურაც მოირგო, „ოლდ ტრეფორდზე" ინგლისთან ამხანაგურ მატჩში (2007 წელს) ბოლო 30 წუთი ითამაშა, ის მატჩი ესპანეთის ნაკრებმა 1:0 მოიგო.

ესპანეთში კოსტარიკელიც ითამაშებს

ლონდონის „არსენალმა" კოსტარიკელი ფორვარდი **ჯოელ კემპბელი** იჯარით „ბეტისში" გაუშვა. სევილიურ კლუბამდე კემპბელი იჯარით ფრანგულ „ლორიანში" იყო (25 თამაში, 3 გოლი). კემპბელი 20 წლისაა. მან 2011 წლის კოპა ამერიკაზე გამოიჩინა თავი, „არსენალში" გადავიდა, მაგრამ ინგლისში სამუშაო ვიზა არ მისცეს. „ბეტისში" გადასვლის შესახებ პირველად თავად კემპბელმა დაწერა „ტვიტერზე", ის სეზონს ლა ლიგაში გაატარებს.

„ბეტისში" კიდევ ერთი ფეხბურთელი ითამაშებს იჯარით - 22 წლის სწრაფი გარემარბი **ხუან კარლოს პერესი**. ხუან კარლოსი „რეალის" აღზრდილია. 2010 წელს მან „რეალის" პირველ გუნდში 6 წუთი ითამაშა „დეპორტივოსთან (6:1) მატჩში. „რეალმა" ის 2,5 მილიონ ევროდ გაყიდა „სარაგოსაში".

ლეკიჩი თურქეთში წავიდა

ლა ლიგამ ერთი ფორვარდი შეიძინა (კემპბელი) და ერთიც დაკარგა - „ოსასუნას" სერბი ფორვარდი **დეიან ლეკიჩი** თურქულ „გენჩლერბირლიგიში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. ნავარულ კლუბში 27 წლის ლეკიჩმა 45 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

ესპანეთში ერჩივნა

4 ივლისს „ხეტაფემ" პუბლიკას წარუდგინა მცველი **დავიდ აბრაამი**, რომელიც შვეიცარიულ „ბაზელში" გამოდიოდა. ამ ტრანსფერის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, რადგან ის მაისის ბოლოს გადაწყდა. აი, რა თქვა აბრაამმა ოფიციალური წარდგენისას: *„ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ლა ლიგაში ვითამაშებდი. ესპანეთში „ხიმნასტიკში" თამაშმაც მომიწია, მაგრამ უმაღლეს დონეზე თამაში სულ სხვაა. მიწვევა „ჰამბურგიდანაც" მქონდა, მაგრამ „ხეტაფე" ვარჩიე"*. 25 წლის აბრაამი არგენტინელია, ის „ინდეპენდიენტეს" აღზრდილია.

სხვა ტრანსფერებიდან აღვნიშნავთ, რომ „სევილიამ" მეკარე ხავი ვარასი ლა ლიგაში აღზევებულ „სელტას" დაუთმო. ვარასი გალისიურ კლუბში იჯარით ითამაშებს და შემდეგ „სევილიაში" დაბრუნდება.

ბარსელონა. ინტერვიუ ხორდი ალბასთან

სერხის მერე პირველი კატალონიელი

მე ხომ სახლში დავბრუნდი, ჩემს ხალხთან

გუშინ ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიას" ფეხბურთელმა ხორდი ალბამ სამედიცინო შემოწმება გაიარა და შემდეგ 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა „ბარსელონასთან". 23 წლის ალბა ტიტო ვილანოვას გუნდში ერიკ აბიდალის ავადმყოფობის გამო პრობლემატურად ქცეულ დაცვის მარცხენა ფრთაზე ითამაშებს. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ალბამ „ბარსა ტვ-ის" მისცა.

- „ბარსელონაში" თქვენი უამრავი ფანი დაგხვდათ...

- დიახ, და ეს ფანტასტიკურია. როცა პუბლიკას უყვარხარ, ბრწყინვალე შეგრძნებაა. ძალიან გახარებული ვარ, ასეთ დიდ კლუბში რომ გადმოვედი. როგორც ვხედავ ეს ფანებსაც ძალიან მოსწონთ.

- ერთ თვეში თქვენი ცხოვრება შეიცვალა, ესპანეთის ნაკრებში ეგრევე დაიმკვიდრეთ თავი და ევროპის ჩემპიონატი მოიგეთ, ახლა კი ბარსელონელი გახდით, თავბრუდამხვევია?

- კმაყოფილი ვარ, დიდებული თვე იყო. ახლა კი „ბარსელონა" მაძლევს თავის გამოჩენის ახალ შანსს. იცით, მე ხომ სახლში დავბრუნდი, ჩემს ხალხთან, ჩემს ოჯახში, ეს კი ამაღელვებელია.

- „ბარსელონაში" ბოლო კატალონიელი მარცხენა მცველი სერხი ბარხუანი იყო, რას ფიქრობთ, რომ თქვენ ისტორიის ახალი ნაწილის ჩაწერის შანსი მოგეცათ?

- არც კი ვიცოდი. ძალიან მიხარია, რომ სერხის მერე პირველი კატალონიელი ვარ, ვინც „ბარსას" დაცვის მარცხენა ფრთაზე ითამაშებს. მიხარია, რომ მსოფლიოს საუკეთესო გუნდში ვარ, სადაც საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ და საუკეთესო ფანები გულშემატკივრობენ. ეს დიდი გამოწვევაა ჩემთვის და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ გამოწვევას გავუმკლავდე. მინდა, რაც შეიძლება მეტად გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი და ამას „ბარსელონაზე" უკეთ სად შევძლებ?

- როცა თქვენ ბავშვობაში „ბარსელონა" დატოვეთ, თუ გიფიქრიათ, რომ ოდესმე უკან დაბრუნდებოდით, თუ ეს თქვენი კარიერის მიზანი იყო?

- როცა აქედან წავედი, 15 წლისა ვიყავი, მაგრამ გადაწყვეტილება თავად მივიღე. საბედნიეროდ, წლების შემდეგ „ბარსას" ისევ გავახსენდი. ეს ჩემი მეორე შანსია.

- ჩვენ ვნახეთ, როგორ კარგად გაუგეთ ჩავის, ინიესტას, პედროს და სესკს ევროპის ჩემპიონატზე, ალბათ არც „ბარსელონაში" ინტეგრაცია გაგიჭირდებათ...

- სანამ ეროვნულ ნაკრებში ვითამაშებდი, ამ ბიჭების ნაწილს ისედაც ვიცნობდი, მე ხომ აქ ჩამოვყალიბდი ფეხბურთელად. ამიტომ დარწმუნებული ვარ, შეგუების პროცესი დიდხანს არ გაიწელება.

- თუ ისაუბრეთ ტიტო ვილანოვასთან?

- დიახ, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მწვრთნელთან მქონდა საუბარი. მან მომილოცა სანაკრებო წარმატება, მე კი მას ვუთხარი, რომ ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ „ბარსელონაში" ვარჯიშს".

ხორდი ალბა ბარსელონელია

ევრო 2012-ის რჩეული

ანდრეს ინიესტა შინ პირნათელი დაბრუნდა

ნაკრების წევრებმა პრიზი ისევე დაიმსახურეს, როგორც მე

ანდრეს ინიესტა: მესის კონკურენტი ვერ ვიქნები

ანდრეს ინიესტას ბრწყინვალე თამაშმა ევროპის ჩემპიონატზე, „ბარსელონას" ნახევარმცველს მისცა შანსი 2012 წლის „ოქროს ბურთისთვის" იბრძოლოს, თუმცა თავად მიიჩნევს, რომ **ლიონელ მესის** კონკურენტი ვერაა. *„ეს ის კითხვა არაა, რომელზეც პასუხი შეიძლება გქონდეს. ჩემთვის მთავარია, რომ კარგად ვითამაშე, ვისიამოვნე ფეხბურთით და გულშემატკივარიც ვასიამოვნე"*, - განაცხადა ინიესტამ „მედიაპროს" ლონისძიებაზე.

„არ ვებრძვი არავის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის. არ ვარ მესის კონკურენტი, ან კრიშტიანოსი, ჩავის და კასილიასის. ეს არ არის ბრძოლა მესის 82 გოლის წინააღმდეგ. ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო ფეხბურთელად ისე დამასახელეს, გოლი არ გამიტანია. ჩემთვის ეს პრივილეგიაა, ვიყო დიად ფეხბურთელთა სიაში, მათ გვერდით. ყოველთვის მსურდა, რაც შეიძლება მეტისთვის მიმეღწია ფეხბურთში, მაგრამ ეს პრიზი ჩემთვის ექსტრაორდინალურია. მოდი, სხვა ხალხმა გადაწყვიტოს, ვის ეკუთვნის „ოქროს ბურთი". ჩემი მხრიდან ამაზე ლაპარაკი, დროის ფლანგვაა და მეტი არაფერი. დღეიდან იანვრამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს და ითქვას. მთავარი და ჩემთვის მნიშვნელოვანი კი ფეხბურთის თამაშით სიამოვნების მიღება და მინიჭებაა".

თუმცა ინიესტა არ მალავს, რომ ძალიან გაახარა ევრო 2012-ის ჟიურის გადაწყვეტილებამ: *„გახარებული ვარ ამ აღიარებით. დიდებული შეგრძნებაა, როცა საუკეთესოდ გასახელებენ. მაგრამ ერთი ფეხბურთელი ვერ იქნება გამარჯვების შემქმნელი, ჩემმა თანაგუნდელებმა ისევე დაიმსახურეს ეს ტიტული, როგორც მე"*.

ალბას შესახებ

ახალ სეზონში ინიესტას „ბარსას" ახალწვეულის, **ხორდი ალბას** წინ მოუწევს თამაში მარცხენა ფლანგზე. აი, რა აზრისაა ინიესტა ალბაზე: *„მასთან თამაში დიდი პატივი იყო ჩემთვის. ერთმანეთს დიდებულად ვუგებდით, არადა სულ მეორედ თუ მესამედ ვთამაშობდით ერთად. ხორდი დიდებული ფეხბურთელია და ბრწყინვალე შენამატი"*.

მომავალ სეზონზე საუბრისას, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ ახალ გამოწვევას დიდი ენთუზიაზმით ხვდება, რომ „ბარსელონას" მიზანი კვლავ ტიტულების მოგება იქნება.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● მილანური ამბები

ჰანდანოვიჩი ინტერში!

ჟულიოს მილანი უმიზნეებს...

სამირ ჰანდანოვიჩმა ჟულიო სეზარი "მილანზე" დააფიქრა

პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან **სამირ ჰანდანოვიჩი** "ინტერის" ღირსებას დაიცავს. 27 წლის კიპერი "უდინეზემ" 11 მილიონ ევროდ გაყიდა და გაცილებით ამბიციურ გუნდში გაუშვა. მილანელები დიდხანს, სრულიად უშედეგოდ ცდილობდნენ სამირის გადაბირებას და მხოლოდ მაშინ მიაღწიეს შედეგს, როდესაც **ანტონიო დი ნატალემ** ფრიულელებთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. როგორც ჩანს, ამ ამბით გახარებულმა უდინელებმა კიპერი აღარ დაბრკოლეს და მილანში გადაბარგების ნება დართეს – თან, ბიუჯეტიც გვარიანად შეივსეს. სამირ ჰანდანოვიჩის გადაბირებით, უაღრესად კმაყოფილია "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი**, რომელმაც "კორიერე დელო სპორტს" შემდეგი განუცხადა:

"ახალგაზრდულ, ამბიციურ გუნდს ვაკეთებთ, რომელიც აუცილებლად მიაღწევს დიდ წარმატებებს. ეს პროცესები ანდრეა სტრამაჩონის მთავარ მწვრთნელად დანიშვნით დაიწყო და გრძელდება კიდეც. ბევრი თვლის, რომ ასეთი რეფორმების გატარება საშიშია, მაგრამ პირადად მე, სულ სხვა აზრზე ვარ – დროა, გუნდი გადავახალისოთ და თამამად გავრისკოთ. ზაფხულის სატრანსფერო კამპანია ძალიან კარგად მიგვყავს და კმაყოფილი ვარ იმ შეთანხმებებით, რომლებიც უკვე შედგა – როდრიგო პალასიოს და სამირ ჰანდანოვიჩის სახით, დიდი გაძლიერება მივიღეთ და გაჩერებას არც სამომავლოდ ვაპირებთ. რა ბედი ელის ჟულიო სეზარს? – გუნდში რჩება, სხვა ინფორმაციას მე არ ვფლობ".

"კორიერე დელო სპორტი" ირწმუნება, რომ ჟულიო სეზარი "მილანის" მესვეურებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და დიდია შანსი, თანაქალაქელთა ბანაკში გადაინაცვლოს. ეს ინფორმაცია თავად ბრაზილიელმა კიპერმა უარყო, მაგრამ ისეთი კომენტარი გააკეთა, ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა: "პრესაში წავიკითხე იმის შესახებ, რომ ჩემით "მილანის" მესვეურები არიან დაინტერესებულნი, რამაც ძალიან გამაკვირვა. "როსონერიდან" არავინ შემხმიანებია და შესაბამისად, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. ჯერჯერობით, "ინტერის" მოთამაშე ვარ და ვეცდები, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი შევინარჩუნო. რაც შეეხება "მილანს", უდიდესი გუნდია და თუ წინადადებას მივიღებ, სიამოვნებით განვიხილავ".

მოკლედ, ჟულიო სეზარმა "მილანის" მესვეურებთან მოლაპარაკების წარმოებაზე თანხმობა განაცხადა და სიტყვა უკვე **ადრიანო გალიანიზეა**... თუმცა, რაში სჭირდება "როსონერის" ბრაზილიელი კიპერი, ეს უკვე სხვა საქმეა – "შავ-წითლებს" ნომერ პირველ მეკარედ **კრიატიან აბიატი** ჰყავთ, რომელიც თავის საქმეს შესანიშნავად ასრულებს. ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ "კორიერე დელო სპორტს" სეზარის ერთი სიტყვისაც არ სჯერა – ავტორიტეტული გამოცემა გვიმტკიცებს, რომ "მილანის" მესვეურები უკვე შეხვდნენ ჟულიოს და მასთან მოლაპარაკების პირველი რაუნდი გამართეს. ვნახოთ, ყველა კითხვას მალე გაეცემა პასუხი.

ამასობაში, "ინტერმა" კიდევ ერთ ფრონტზე მიაღწია წარმატებას და კიდევ ერთი ფეხბურთელის დამატებასთან არის ძალიან ახლოს - თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, **გაბი მუდინგაი** მომდევნო სეზონიდან სწორედ მილანური გრანდის ღირსებას დაიცავს. 30 წლის ნახევარმცველი ბოლო წლებში "ბოლონიას" ღირსებას იცავდა და გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ითვლებოდა. მოვუსმინოთ გაბის პირად აგენტს და ყველაფერი ნათელი გახდება:

"მილანელებთან მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და სულ მალე, ორი, ან სამწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. გაბი ძალიან ბედნიერია, რადგან ასეთი შანსი ცხოვრებაში შეიძლება ერთხელ მოგეცეს. გასულ სეზონში, თავი შესანიშნავად წარმოაჩინა და "ინტერის" მესვეურთა ყურადღებაც დაიმსახურა. დარწმუნებული ვარ, მუდინგაი მილანური გრანდის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრებს ადგილს და გუნდის წარმატებებში თავის წვლილს შეიტანს".

● რომა

ჯალოროსი ბოსინგვას შეუთანხმდა

ჟოზე ბოსინგვა "რომას" ღირსებას დაიცავს

რამდენიმე დღის წინ, "რომას" სპორტულმა დირექტორმა, **ვალტერ საბატინიმ** საჯაროდ განაცხადა, რომ სულ მალე, გუნდს უმაღლესი კლასის მცველი შეუერთდება, რომელიც აქამდე ინგლისურ პრემიერლიგაში ასპარეზობდა. იტალიელ ჟურნალისტებს ვინ რას გამოაპარებს, მიდგნენ, მოდგნენ და გაარკვიეს რომ ეს მცველი **ჟოზე ბოსინგვა** გახლავთ, რომელიც აქამდე "ჩელსის" ღირსებას იცავდა და რამდენიმე დღის წინ, თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. 29 წლის უკანახაზელს უმალ შეეხმიანენ რომაელები და კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს, რაზეც თანხმობა მიიღეს.

"კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, საქმე ფაქტობრივად სატელეფონო საუბრებით გაიჭრა და მხარეებს არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო პრობლემა არ შექმნიათ... ჯერჯერობით, უცნობია თუ რამდენნლიანი იქნება კონტრაქტი, თუმცა კულუარული ინფორმაციით, სამ სეზონზეა ლაპარაკი. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, "რომას" მესვეურები ბოსინგვას ტრანსფერს კვირის ბოლოს დაადასტურებენ.

● იუვენტუსი

ლუსიომ იუვესთან კონტრაქტი გააფორმა

კონტე ლუსიოს ტრანსფერმა გააცარა

იუვენტუსი დავიდ ვილას მისდგა

"იუვენტუსი" განაგრძობს აქტიურობას სატრანსფერო ბაზარზე და გუშინდელი დღეც ამის ნათელი დადასტურება გახლდათ... **ლუსიომ** ტურინულ გრანდთან ხელშეკრულება გააფორმა და ამიერიდან, არა შავ-ლურჯი, არამედ შავ-თეთრი მაისურით იასპარეზებს. იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ლუსიოს "იუვეში" გადაბარგება ბევრმა გაიკვირვა, რადგან ერთი შეხედვით, **ანტონიო კონტე** მაღალი კლასის მცველთა დეფიციტს არ განიცდის – სწორედ ამიტომ, "კორიერე დელო სპორტი" "ვეკია სენიორას" თავკაცს დაუკავშირდა და ამ თემაზე ჩამოუგდო სიტყვა – აი, კონტეს პასუხიც:

"რა ბედნიერებაა, რომ სატრანსფერო საკითხებზე მინევს ლაპარაკი და არა ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარ კორუფციულ თემებზე. როდესაც ლუსიოს დონის ფეხბურთელის გადაბირების შანსი გაქვს, ზედმეტი კითხვების გარეშე უნდა გამოიყენო, რადგან ის აუცილებლად გამოგადგება. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში მისი საჭიროება ისედაც თვალსაჩინოა. "იუვეს" საბაზო ტაქტიკა 3-5-2-ა და ასეთ დროს, დაცვის ცენტრში ტრიო მოქმედებს. გასულმა სეზონმა მთლიანად ბარცალი-ბონუჩი-კიელინი ზე გადაიარა და ერთ-ერთ რომ ტრავმას, ან დისკვალიფიკაციას იღებდა, სერიოზული პრობლემები გვექმნებოდა; ამის გამო, ხშირად შემიცვლია ტაქტიკა და ეს აღარ უნდა განმეორდეს. ლუსიოს გადაბირება ძალიან მინდოდა და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ. მასთან ერთად, "იუვე" გაცილებით ძლიერი იქნება".

ამასობაში, "გაძეტა დელო სპორტმა" ძალიან საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, "იუვეს" მესვეურებს **დავიდ ვილას** გადაბირება დაუსახავთ მიზნად. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ტურინელები უახლოეს მომავლში ესპანეთში ჩაფრინდებიან და კატალონიელ კოლეგებს შეხვდებიან. რთული სათქმელია, რამდენად შედის "ბარსას" გეგმებში წამყვან ფირვარდთან განშორება, მაგრამ ტურინელები მაქსიმალისტები არიან და ცდა ბედის მონახევრეას პრინციპით მოქმედებენ – ამას ადასტურებს კლუბის სპორტული დირექტორის, **ჯუზეპე მაროტას** სიტყვები:

"დავიდ ვილას გადაბირების უდიდესი სურვილი გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით, ეს მხოლოდ სურვილია. აი გადაიზრდება თუ არა მიზანში, ეს კატალონიელებთან შეხვედრის შემდეგ გვეცოდინება. არ გამოვრიცხავ, რომ ვილა "ბარსას" ახალი მწვრთნელის გეგმებში არ ჯდებოდეს და ასეთ შემთხვევაში, მოლაპარაკებებს აუცილებლად წამოვიწყებთ. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".

● ნაპოლი

ინსინიე ლავეცის შემცვლელად

ნეაპოლელებს არმერო სურთ

როგორც ჩანს, "ნაპოლის" მესვეურები **ესეკილ ლავეცის** შემცვლელის მოიძებნას არ აპირებენ და იმედებს მთლიანად 21 წლის ფორვარდ **ლორენცო ინსინიეზე** ამყარაბენ; ეს უკანასკნელი, გასულ სეზონში "პესკარას" ღირსებას იცავდა და ამ გუნდის წარმატებაში ლომის წილი დაიდო. ინსინიემ "დელფინების" შემადგენლობაში 37 თამაში ჩაატარა და 18 გოლი გაიტანა, ამასთან, არაერთი საგოლე პასი მიითვალა აქტივში. და მაინც, რამდენად კარგად შეცვლის ახალგაზრდა, გამოუცდელი თავდამსხმელი ლავეცის? – ეს კითხვა ღიად რჩება და ბუნებრივია, ამ თემაზე ნეაპოლელებსაც უწევთ კომენტარების გაკეთება – მოვუსმინოთ "ნაპოლის" მთავარ მნვრთნელ **ვალტერ მაცარის**:

"ესეკილმა დაგვტოვა, ეს რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ლავეცი გუნდის ლიდერი იყო, მაგრამ შეუცვლელი ფეხბურთელები არ არსებობენ და ამაში მალე დარწმუნდებით. რაც შეეხება ინსინიეს, "პესკარაში" შესანიშნავად წარმოჩინდა და მისი დაბრუნება განვიზრახეთ. როდესაც გავიგე, რომ ამ ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებს "ნაპოლი" ფლობდა, ძალიან გამიხარდა, რადგან მისი თამაში პირველივე ნახვისას მომეწონა. იყო საუბრები, რომ ლორენცო "სამპდორიაში" უნდა გაგვანთხოვრებინა, მაგრამ ეს გამორიცხულია – ჩვენთან რჩება და დარწმუნებული ვარ, გუნდს დიდ სარგებელს მოუტონს".

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, "ნაპოლის" მესვეურები "უდინეზეს" მარცხენა მცველით, **პაბლო არმეროთი** არიან დაინტერესებულნი და მის გადასაბირებლად ყველაფერს აკეთებენ – ეს ინფორმაცია უდინური კლუბის პრეზიდენტმა **ჯამპაოლო პოცომ** დაადასტურა და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

"დიახ, არმეროს გადაბირება ნეაპოლელებს მართლაც უნდათ და საკმაოდ სარფიან წინადადებასაც გვთავაზობენ. ვერაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ პაბლო ჯერჯერობით "უდინეზეს" ფეხბურთელია და მისი გასხვისების დიდი სირვილი არ გვაქვს. ბევრრამ თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული, რადგან თუ წასვლა ურჩევნია, ძალით დაკავებას ნამდვილად არ ვაპირებთ. პაბლოს უახლოეს დღეებში შევხვდები, დაველაპარაკები ამ თემაზე და მის პოზიციას გავიგებ".

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

ლორენცო ინსინიეზე ნეაპოლში დიდ იმედებს ამყარებენ

● მოსალოდნელი დანიშვნა



დაინიშნება ოლივერ კანი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორად?

ზამერს კანი შეცვლის?

ოლი უარზე არაა!

სხვა კანდიდატები: ფროინდი და ციგე

მას მერე, რაც **მათიას ზამერი** „ბაიერნის“ სპორტულ დირექტორად დაინიშნა, გერმანიის საფეხბურთო კავშირში ეს პოსტი ვაკანტურია. გერმანული პრესის ცნობით, ზამერის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება, უმთავრესი კანდიდატი კი ლეგენდარული გერმანელი მეკარე **ოლივერ კანია**. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „ტიტანს“ ამ საკითხზე სიტყვა ჩამოუგდეს და გაარკვიეს, რომ ოლი უარზე არ არის.

„ახლა ტელეკომპანია ZDF-ის ექსპერტად ვმუშაობ და მიხარია, რომ ფეხბურთთან ახლოს ვარ. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორობა კი ძალიან სერიოზული და საპასუხისმგებლო თანამდებობაა, რაც შეიძლება ჩემთვის დიდი გამოწვევა იყოს. საინტერესო წინადადების მოსასმენად მზად ვარ, - უთხრა კანმა „კიკერს“, - ბოლო ოთხ წელინადში მწვრთნელის A ლიცენზია მოვიპოვე და მენეჯმენტიც ვისწავლე, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ პოსტზე მუშაობა შემიძლია.“

აღსანიშნავია, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირში ზამერის სწრაფად შეცვლას არ აპირებენ, რადგან არ უნდათ, რომ გადაწყვეტილება ნაჩქარევი გამოვიდეს. ზამერის მოულოდნელი წასვლის შემდეგ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ვოლფგანგ ნირსბახმა** თქვა, მათიასის შემცვლელის ძებნა შესაძლოა რამდენიმე კვირა ან თვეებიც კი გაგრძელდესო.

ეფენბერგის ეშინიათ

ცნობილია, რომ კანს ყველაზე მეტად მაინც „ბაიერნში“ მუშაობის პერსპექტივა ხიბლავს და ზამერის სპორტულ დირექტორად დანიშვნის შემდეგ, დიდია იმის შანსი, რომ მათიასმა ოლივერი რეკორდმაისტერში მიიყვანოს – ზამერი და კანი ხომ კარგი მეგობრები არიან.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორის თანამდებობაზე ბუნდესგუნდის ყოფილი ფეხბურთელები, **შტეფენ ფროინდი** და **კრისტიან ციგეც** განიხილებიან. ფროინდი ახლა გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის ასისტენტია, ციგე კი 18-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი გახლავთ. იყო საუბრები **შტეფან ეფენბერგზეც**, მაგრამ უახლესი ინფორმაციით, ზამერის ეფეთი ჩანაცვლება საფეხბურთო კავშირში საბოლოოდ გამორიცხეს. საინტერესო ის არის, ეფენბერგს რეკომენდაცია თავად ზამერმა გაუწია, თუმცა შტეფანს საფეხბურთო კავშირში „არაკომფორტულ კოლეგად“ მიიჩნევენ და შიშობენ, რომ მისი დანიშვნის შემთხვევაში, ეფენბერგს გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვთან** და მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფთან** უდიდესი უთანხმოება ექნება.

● მოსაზრება

პელე: ჩვენ ამ ესპანეთს მოვუგებდით

პელე დარწმუნებულია, რომ 1970 წლის ბრაზილიის ნაკრები ესპანეთის დღევანდელი ნაკრების დამარცხებას მოახერხებდა. *„ის ბრაზილია ყველა დროის საუკეთესო გუნდი იყო და ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება იმაში, რომ ჩვენ ამ ესპანეთს აუცილებლად მოვუგებდით, -* უთხრა ფეხბურთის 71 წლის „მეფემ“ ჩვენს ბრაზილიელ კოლეგებს და იქვე დასძინა, *- ცხადია, ესპანელებსაც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავთ, მაგრამ მაშინ ბრაზილიას გაცილებით მეტი ინდივიდუალისტი ჰყავდა. ჩვენს გუნდში ძალიან ბევრი სუპერ-ინდივიდუალისტი თამაშობდა, ესპანელებს კი ასეთი მხოლოდ 3-4 ჰყავთ.“*

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ბაიერნი. სატრანსფერო სიახლეები

მიუნხენელებმა ბასკებს დასცინეს

რა ამბავია 40 მილიონი? ბაიერნი ხავი მარტინესში 25 მილიონზე მეტს არ გადაიხდის!

„ბაიერნს“ ბილბაოს „ატლეტიკისა“ და ესპანეთის ნაკრების უნიჭიერესი საყრდენი ნახევარმცველის **ხავი მარტინესის** გადაბირება რომ უნდა, ამის შესახებ „ლელოს“ მკითხველი ინფორმირებულია. სიახლე ის არის, რომ ბავარიელებმა ევროპის ჩემპიონისადმი ინტერესი ახლა უკვე ფაქტობრივად ოფიციალურად დაადასტურეს და ჩვენს გერმანელ კოლეგებსაც მეტი ინფორმაციის მოძიების საბაბი მიეცათ.

„ხავიერ მარტინესი უდიდესი პოტენციალის მქონე ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ გრანდს დაამშვენებდა. მე მას კარგად ვიცნობ და ძალიან მომწონს. ფაქტია, რომ მარტინესი „ბაიერნის“ სხვა ხელმძღვანელებსაც მოსწონთ,“ - განაცხადა ორიოდე დღის წინ რეკორდმაისტერის ახალმა სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა**, რითაც ოფიციალურად პირველად დადასტურდა, რომ ბავარიელები 23 წლის უკანახაზელის გადაბირებაზე სერიოზულად ფიქრობენ.

გერმანელმა ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ ბავარიელები ყველაფერს აკეთებენ ხავი მარტინესის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ახალგაზრდა ესპანელში ნამდვილად არ აპირებენ იმ თანხის გადახდას, რასაც „ბილბაო“ ითხოვს. „შპორტ ბილდის“ ინფორმაციით, მიუნხენური გრანდი მარტინესში 25-30 მილიონ ევროზე მეტს არაფრისდიდებით არ გადაიხდის. არადა, ცნობილია, რომ ბასკები თავიანთ ლიდერს 40 მილიონად აფასებენ.

„შპორტ ბილდისვე“ ინფორმაციით, „ბაიერნისთვის“ კარგი ის არის, რომ თავად მარტინესს ბილბაოდან წასვლა და ძალების უფრო მაღალ დონეზე მოსინჯვა სურს და „ატლეტიკის“ პრეზიდენტ **ხოსუ ურუტიასთვის** უთხოვია, ჩემს სურვილს გაგებით მოეკიდეო...

ბადშტუბერი ბარსელონაში?

თუმცა ხავი მარტინესის გადაბირება „ბარსელონასაც“ უნდა. სხვა საქმეა, მოისურვებს თუ არა ბასკი კატალონიელთა რიგებში ასპარეზობას და „ბილბაოს“ მტრის გაძლიერებას, მაგრამ ფაქტია, რომ მარტინესისთვის „ბარსაც“ იბრძვის. ზოგადად, ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, „ბარსელონასთვის“ სასურველი ფეხბურთელების სიაში სამი მცველია – მარტინესთან ერთად, კატალონიელები ლონდონის „არსენალის“ უკანახაზელ **თომას ვერმაელენსა** და „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების დაცვის ბურჯ **ჰოლგერ ბადშტუბერზე** ფიქრობენ.

ბადშტუბერს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და რაკი ჰოლგერი ბავარიული გრანდის აღზრდილია, გამორიცხულია, რომ მიუნხენელები მის გასხვისებაზე დათანხმდნენ. გამონაკლისი მხოლოდ ისეთი შემთხვევა იქნება, თუ თავად ბადშტუბერი გამოთქვამს „ბარსაში“ გადასვლის სურვილს...

ხავი მარტინესზე უდიდესი მოთხოვნაა

პისარო გომესს ემუქრება

მიუნხენელთა „ძველი“ ახალწვეული **კლაუდიო პისარო** კი აცხადებს, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომის პერსპექტივა არ ხიბლავს, რაც **მარიო გომესისთვის** ომის გამოცხადებას ნიშნავს. 33 წლის პერუელმა თავდამსხმელმა პირველ ვარჯიშში მონაწილეობა კი მიიღო, მაგრამ დაშავდა და რამდენიმე დღე დაისვენებს. ექსბრემენელი („ვერდერიდან“ „ბაიერნში“ უფასოდ გადავიდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა), რომელიც რეკორდმაისტერის ღირსებას 2001-დან 2007 წლამდეც იცავდა, გომესის დუბლიორის როლს არ შეეგუება.

„ჩემი მიზანი ყველგან და ყოველთვის თამაში იყო და ასეა ამჯერადაც. სკამზე ჯდომით კმაყოფილი ვერ ვიქნები და ეს „ბაიერნის“ ხელმძღვანელებსაც ვუთხარი. მართალია, ძირითადში თამაშის გარანტიას ვერ მომცემდნენ, მაგრამ მითხრეს, იბრძოლე და ყველაფერი შენზე იქნება დამოკიდებული. მეც ვიბრძოლებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ „ბაიერნთან“ ერთად ტიტულები მოვიგო,“ - განუცხადა პისარომ „ბილდს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ცურვა



ირაკლი ბოლქვაძე

ცისფერი ბილიკით ბრინჯაოსკენ

პირველი მედალი დამოუკიდებელი საქართველოსთვის

გუშინ სასიხარულო ცნობა მივიღეთ ანტვერპენიდან: დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად 17 წლის ირაკლი ბოლქვაძემ ცურვაში ჩვენს ქვეყანას ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

უკვე გაუწყეთ, რომ ბელგიაში ახალგაზრდა მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს სამი წარმომადგენელი ჩაება: ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატი ირაკლი ბოლქვაძე, **თეიმურაზ კობახიძე** და **დავით სიხარულიძე.** იმის შესახებაც ვწერდით, რომ ბოლქვაძემ 200 მეტრზე ბრასით წარმატებით განვლო საკვალიფიკაციო ეტაპი - 2.16,75-ით მე-4 ადგილი დაიკავა. ნახევარფინალში ეს შედეგი 0,02 წამით გააუმჯობესა და ფინალში გავიდა, სადაც კვარცხლბეკზე ასასვლელად ყველაფერი ილონა. 150 მეტრის შემდეგ იგი დისტანციაზე მეოთხე იყო და რუს ალექსანდრ ოსიპენკოსთან 0,46 წამს აგებდა. ბოლო 50-მეტრიან მონაკვეთში ირაკლიმ, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო - აშკარად აჯობა ჩრდილოელ მეზობელს და საქართველოს ახალი რეკორდით (2.15,46) ფინიშთან მესამე იყო. ჩვენებურს რუსმა მარატ ამალტდინოვმა (2.13,15) და ბრიტანელმა მურდოშ როსიმ (2.14,53) გაუსწრეს.

ირაკლი ბოლქვაძე 1994 წლის 12 დეკემბერს დაიბადა. წლეულს დაამთავრა თბილისის 47-ე საჯარო სკოლა. ცურვაში ვარჯიში 6 წლისამ დაიწყო. ერთხანს **გიორგი აბზიანიძესთან** მეცადინეობდა, რამდენიმე წელიწადია, **ირინა მინჟულინასთან** იმაღლებს ოსტატობას. უფროსებში პირველად ოთხი წლის წინათ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მას შემდეგ რამდენჯერმე მოიპოვა ეს ტიტული სხვადასხვა დისციპლინაში, 100 და 200 მეტრზე ბრასსა და 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საქართველოს მრავალგზის რეკორდსმენია. წარმატებებით განსაკუთრებით წლევანდელი სეზონი გამოირჩა: შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებდა შედეგებს და ოლიმპიურ საგზურს უახლოვდებოდა. ორიოდე თვის წინათ დებრეცენში 200 მეტრი ბრასით 2.16,35-ში გაცურა და დამოუკიდებელი საქართველოს მოცურავეთაგან პირველმა შეასრულა ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ნორმატივი, რაც ჭაბუკი სპორტსმენის დიდი გამარჯვება იყო.

უნგრეთიდან დაბრუნების შემდეგ ბოლქვაძე გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ევროპის პირველობისთვის მზადებას. ნათელი იყო, რომ ახალგაზრდა მოცურავე მიღწეულს არ დასჯერდებოდა, რაც ანტვერპენში დაამტკიცა კიდეც.

ამას წინათ ირაკლიმ მოთელვის მიზნით თბილისში მაქსიმალის თასზეც იასპარეზა და რამდენიმე დისტანცია მოიგო. მაშინ შევიტყვე, ცურვის გარდა, ძალიან მოსწონს რაგბი - საქართველოს ნაკრებს ქომაგობს, გატაცებულია ფეხბურთით, სიამოვნებით უყურებს ქალთა ჩოგბურთს.

კერპი. ლეგენდარული ამერიკელი მოცურავეები - მაიკლ ფელპსი და რიან ლოხტი. სიმპათიები უფრო ლოხტისკენ იხრება.

ჰობი. მუსიკა და კომპიუტერი.

მომავალი პროფესია. ახალგაზრდების ევროპის პირველობისა და ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით მომავალი პროფესიის არჩევა და ეროვნული გამოცდების ჩაბარება საგაისოდ გადადო.

მიზანი. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებული გამოსვლა...

ირაკლი ბოლქვაძე ანტვერპენში 8 ივლისს 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მოსინჯავს ძალებს. ბრინჯაოს მედალოსანს გუშინ მხარი ვერ აუბეს თანაგუნდელებმა: თემურ კობახიძე 200 მეტრზე ბატერფლაით (2.06,86) 21-ე იყო, ხოლო დავით სიხარულიძემ 100 მეტრი თავისუფალი ყაიდით 52,30 წამში გაცურა და 60 მონაწილეს შორის 46-ე ადგილი დაიკავა. ხვალ სიხარულიძე 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდით იცურავებს, კობახიძე კი ევროპელ თანატოლებს 100 მეტრზე ბატერფლაით გაეჯიბრება.

● კალათბერთი. U 20

საკონტროლო შეხვედრა

ესპონეთი

ესპონეთი-საქართველო 97:62

17:11, 23:18, 28:18, 29:15

საქართველო: ფხაკაძე (4ქ), სანაძე (15ქ), ბოქოლიშვილი (10ქ), ლომინაშვილი, ბურჯანაძე (15ქ, 8მ), ტეტელაშვილი (1ქ), ელიავა, ჯავახიშვილი (2ქ), მაჩალაძე, თენიეშვილი (3ქ, 5მ), ალხანიძე (6ქ, 6მ), როგავა (6ქ).

● სეოკ-ში

ქართული ჩოგბურთი კვლავ ოლიმპიურ სარბიელზეა

ლონდონის თამაშებში მონაწილეობა მომავალი თაობისთვის დიდი სტიმულია

ქართული ჩოგბურთის ისტორიაში **ლეილა მესხი,** სპორტის ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ერთადერთი გახლავთ, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში ორჯერ მიიღო მონაწილეობა. 1988 წელს სეულში მან პირველი წრე გადალახა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ბარსელონაში რუს **ნატალია ზვერევასთან** ერთად წყვილებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე უნდა ეასპარეზა **ირაკლი ლაბაძეს,** მაგრამ ხელის ტრავმის გამო მან ეს ვერ შეძლო.

"ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ერთბაშად ორი ქართველი ჩოგბურთელი გამოვა. ესენი არიან **ანა ტატიშვილი,** რომელიც დღევანდელი მსოფლიოს რეიტინგით 73-ეა, და **მარგალიტა ჩახნაშვილი.** ორივე ჩოგბურთელი ამჟამად უცხოურ ტურნირებში ცდის ძალებს, ამიტომ თბილისში 21 ივლისამდე ჩამოსვლას ვერ ახერხებენ.

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** პრესკონფერენცია გამართეს.

გია ნაცვლიშვილი: ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ლონდონის ოლიმპიადის ორი საგზური მოიპოვა. სეოკ-სა და ფედერაციას შორის თანამშრომლობა ოთხი წლის წინათ დაიწყო. მსოფლიოში იშვიათი შემთხვევაა, რომ ოლიმპიური კომიტეტი პროფესიონალ ჩოგბურთელებს აფინანსებს, რადგან ისინი უმთავრესად სპონსორების ხარჯზე გადიან ფონს. ჩვენი მიზანი იყო, ლონდონში წარმომადგენელი გვყოლოდა ისეთ პრესტიჟულ და ელიტარულ სპორტის სახეობაში, როგორიც ჩოგბურთია. ამიტომ ჯერ სამ, მერე ორ სპორტსმენს ვეხმარებოდით. ბოლოს ანა ტატიშვილზე შევჩერდით, რადგან ლონდონში მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი მას გააჩნდა. მართლაც, ანამ კარგი შედეგი აჩვენა. იგი დღეს მსოფლიო რეიტინგში 73-ეა, ხოლო ოლიმპიურში სამოცეულის ზღვართანაა. სწორედ ამის გამო მოგვცა საერთაშორისო ფედერაციამ ორი საგზური. თუმცა, ამ საქმეში ეროვნული ფედერაციისა და პირადად მისი ხელმძღვანელის - ქალბატონ ლეილა მესხის წვლილიც მნიშვნელოვანია. ის, რომ საქართველოს დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ოლიმპიურ თამაშებში ორი ნარმომადგენელი ეყოლება ჩოგბურთში, მომავალი თაობისთვის სტიმული იქნება. უფრო მეტი მოზარდი მიაშურებს კორტებს და სამომავლოდ უკეთესი სპორტსმენებიც გვეყოლება.

ლეილა მესხი და გია ნაცვლიშვილი

ლეილა მესხი: ანა ტატიშვილს წლების განმავლობაში უსახსრობის გამო პირადი მწვრთნელი არ ჰყავდა. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დახმარებით მან ეს პრობლემა მოაგვარა, რაც შედეგებსაც დაეტყო. დიდი მადლობა სეოკ-ს ამ თანადგომისთვის. რაც შეეხება საგზურების მოპოვებას, საერთაშორისო ფედერაცია დიდ ყურადღებას აქცევს სპორტსმენის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში დევისის ან ფედერაციის თასზე გამოსვლას. ვისაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყნის ნაკრებში არ უთამაშია, ის ოლიმპიურ თამაშებში ვერ იასპარეზებს. მოგეხსენებათ, ჩოგბურთი ინდივიდუალური სპორტია და პროფესიონალები ნაკრებში თამაშს გაურბიან, რასაც ქართველ ჩოგბურთელებზე ვერ ვიტყვით. პირიქით, ანა ტატიშვილმა წლეულს ჩვენს ქალთა გუნდს დიდი სამსახური გაუწია - ფედერაციის თასზე ექვსი წლის შემდეგ ევროაფრიკული ზონის პირველი ჯგუფში გადავედით.

მართალია, ვაჟთა ჩოგბურთში დიდი შეფერხება გვაქვს, მაგრამ მოდიან ახალგაზრდები, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე მალე გვასახელებენ. ჩვენი ფედერაცია ყველაფერს აკეთებს სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის. ამიტომაც საერთაშორისო ფედერაციამ გარჯა დაგვიფასა და ლონდონის ოლიმპიადის ორი საგზური გამოგვიყო. ანა ტატიშვილთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, რომ წყვილებში მასთან ერთად ჩახნაშვილს ეთამაშა. მაკასაც დიდი წვლილი მიუძღვის ბოლო წლებში ქართული ჩოგბურთის განვითარებაში და ღირსია, ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი მიეცეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გოგონები ბრიტანეთის დედაქალაქის ოლიმპიურ კორტებზე თავს არ შეირცხვენენ.

ავტორის ფოტო

● ჰლაჟის ხელბერთი

ევროპელი ახალგაზრდები ბათუმში შეიკრიბნენ

დღეს აჭარის დედაქალაქში დაიწყება 18-წლამდელ გოგონათა და ვაჟთა ევროპის მე-3 ჩემპიონატი პლაჟის ხელბურთში, რომლის ორგანიზატორები არიან ევროპისა და საქართველოს ხელბურთის ფედერაციები. ბათუმში მედლებისთვის მასპინძლებთან ერთად ნორვეგიის, შვეიცარიის, უნგრეთის, თურქეთის, ხორვატიის, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის ნაკრებები იასპარეზებენ. საგულისხმოა, რომ 2008 წელს პირველ შეჯიბრაბაში, რომელიც უნგრეთში გაიმართა, მასპინძლთა გუნდებმა მოიპოვეს ოქროს მედლები, შარშან კი ხორვატმა ვაჟებმა და მადიარმა გოგონებმა გაიმარჯვეს.

ჩემპიონატი ბათუმში ახლადგახსნილ ქვიშის სპორტულ კომპლექსში გაიმართება, სადაც ძირითად არენას (ტევადობა 1 500 მაყურებელი) კიდევ ორი - 400 მაყურებელზე გათვლილი სპორტული მოედანი შეემატა.

● ჩოგბერთი

ერთეულთა თანრიგს შემორჩნენ

უკვე გაუწყეთ, რომ იტალიურ ბიელაში ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იან საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა **ანა ტატიშვილი,** რომელიც პირველ-მეორე წრეში რუსი ვალერია სავინიხისა და ჩეხი ევა ბირნეროვას ძლევის შემდეგ დღეს 17 წლის რუს ირინა ხრომაჩევას დაუპირისპირდება.

ფრანგულ დენაინში (25.000 $) ერთეულთა თანრიგის პირველ წრეში **სოფიო შაფათავამ** მასპინძელი არკაგიოლის დამარცხების მერე მეორე წრეში ხორვატ ვრლიჩს შეხვდება. ჩვენებური რუს ანგელინა გაბუევასთან ერთად წარმატებით თამაშობდა წყვილებში. მათ იოლად გაიარეს ორი წრე. თან შეჯიბრებიდან გამოთიშეს პირველ ნომრად განთესილი მიტუ (რუმინეთი) და ოზგენი (თურქეთი), გუშინ კი მასპინძლების - ჯორჯესი-ჩესკუიერეს დუეტთან ორ სეტში დამარცხდნენ - 3:6,2:6. დღეს შაფათავა ერთეულთა თანრიგში შეეცდება წინსვლას.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

ქართული სპორტი

● ქართული სპორტის მგეზავები

დღეს წარმოგიდგენთ წარსულში ქართული კალათბურთის ორ ღვაწლმოსილ სპეციალისტს



სულიკო თორთლაძე

კალათბურთელთა ლეგენდარული აღმზრდელი სულიკო თორთლაძე დაიბადა ქუთაისში 1919 წლის , 20 ნოემბერს. თამაშობდა ქუთაისის „დინამოსა“ (1938-40, 44) და თბილისის „დინამოში“ (1945-52). სსრკ ჩემპიონი (1950), მეორე (1947) და მესამე პრიზიორი (1948), სსრკ თასის მფლობელი (1949). ბავშვთა კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი. მისი აღზრდილები არიან: ოლიმპიური ჩემპიონები ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ნიკოლოზ დერიუგინი, ცნობილი კალათბურთელები ზურაბ გრძელიძე, გელა დარსაძე.

სულიკო თორთლაძეს მინიჭებული ჰქონდა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატისა და დამსახურებული მწვრთნელის წოდებები.

გარდაიცვალა 1982 წელს.



ალექსანდრე კილაძე

დაიბადა 1929 წლის 20 აპრილს ბათუმში. თამაშობდა(178 სმ). თბილისის „ტოდოში“ (1950-51) და თბილისის „დინამოში“ (1949, 1952-64). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ თასის მფლობელი (1951), სსრკ ჩემპიონი (1953, 54), სამგზის მეორე (1959, 60, 61) და მესამე (1952) პრიზიორი, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი (1964-66, 69-70). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

გარდაიცვალა 1999წელს თბილისში

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით, პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.
ხუან ანტონიო სამარანჩი

ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშები, 1996 წ. ატლანტა, 19 ივლისი - 4 აგვისტო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ N 156

კობა გულიაშვილი (ბ\რ ჭიდაობა) - IV

გელა პაპაშვილი (ბ\რ ჭიდაობა) - VI


ბიძინა მიქიაშვილი (ძალოსნობა) - IX

ავთანდილ გოგოლიშვილი (თავ. ჭიდაობა) - X

ზაზა ტყეშელაშვილი (თავ. ჭიდაობა) - XIII

ვლადიმერ გრუზდევი (აფროსნობა) - XVI


კობა გოგოლაძე (კრივი) - III წრე

ატლანტაში პირველად ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიურ გუნდში გამოდიოდა 36 სპორტსმენი, რომელთა წილად მოდის ბრინჯაოს 2 მედალი.
მონაწილე ქვეყანა: 197;
სპორტსმენი: 10 318;
სპორტის სახეობა: 26;
მედლების კომპლექტი: 271


ტარიელ მელელაშვილი (ბ\რ ჭიდაობა) - XX

ბესიკ ვარძელაშვილი (კრივი) - I წრე

თენგიზ მესხაძე (კრივი) - I წრე


ეკა აბრამია (მხ. ტანვარჯიში) - XXV

ნანა ყაზარაშვილი (წყალში ხტომა) - XXVIII

არჩილ ლორთქიფანიძე (ფარიკაობა) - I წრე

გიორგი წმინდაშილი (ძიუდო) - XXXII


გოჩა გახარია (წყალში ხტომა) - XXXIV

ელვირა ურუსოვა (მძლეოსნ.) - კვალიფ.

მუხრან გოგია (ძალოსნობა) - ტრავმა

დავით ხახალეიშვილი (ძიუდო, ანონვაზე დააგვიანა - მოიხსნა)

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

ქართული სპორტი

● ოლიმპიადა

ქრისტინე ესებუა

ქველი მაჩვენებლით ახალ თამაშებზე

შემოდგომა ჯერ არც კალენდარულად დამდგარა და არც - სპორტული თვალსაზრისით, მაგრამ სალიცენზიო ტურნირები თითქმის დასრულდა და ნიწილების დათვლის დროც დადგა. დარჩენილია მხოლოდ ერთადერთი სალიცენზიო სტატუსის შეჯიბრება მძლეოსნობაში და ღმერთმა ჰქნას, ჩვენებმა იქაც გაგვახარონ, მაგრამ ეს საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში არსებით ცვლილებას ვერ გამოიწვევს, სადღეისოდ კი 35 ლიცენზია გვაქვს – ზუსტად იმდენი, რაც ნინა თამაშებზე გვქონდა პეკინში. ამდენად, ლო ზუნგი - „უკეთ, ვიდრე პეკინში" ჯერჯერობით ვერ გავაუმჯობესეთ (თუმცა არც გაგვიუარესებია). ვნახოთ, რა იქნება შედეგობრივად, თუმცა ჩინეთში მოპოვებულ სამ ოქროზე გადასნრება გმირობა იქნება.

პირველები

ეს 35 საგზური სპორტის 11 სახეობაზე მოდის. ტრადიციულად, პირველი საგზური ამჯერადაც ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** მოიპოვა, რომელსაც შიდა ქართული რეკორდი აქამდეც ეკუთვნოდა, ახლა კი მსოფლიოს რეკორდსაც უმიზნებს – ეს მისთვის მეშვიდე ოლიმპიადა იქნება, ასეთი მიღწევით კი საქართველოში ვერავინ დაიტრაბახებს. თუმცა რაღა საქართველოში, ის მსოფლიოში ქალთა შორისაც რეკორდსმენია. მისი დაწევის შანსი მხოლოდ ბერძენ **აგატა კასუომის** და სერბ ყველაფრის ჩემპიონ **იასნა სეკარიჩს** აქვთ, ოღონდ ისიც იმ შემთხვევაში, თუ „ველურ ბარათებს" მიიღებენ, თორემ საგზურები ვერ მოიპოვეს. სხვათა შორის, სალუქვაძეს მამაკაცთა შორისაც შეეძლო რეკორდის, მინიმუმ გამეორება მაინც, მაგრამ სროლის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ ლატვიელ ოლიმპიურ ჩემპიონ **აფანას კუზმინსს** „ველური ბარათი" უბოძა, რითაც მეცხრე ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება მისცა.

ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელად, რიგით მეორე საგზური მშვილდოსანმა **ქრისტინე ესებუამ** მოგვიტანა, თუმცა მოპოვებასაც გააჩნია – ჩვენებური მსოფლიოს პირველობაზე ვერცხლის მედალს დაეუფლა. ჩვენი მშვილდოსან ქალთა ნაკრები სტაბილური გუნდი ნამდვილადაა, რომელიც პერიოდულად ახერხებს ხოლმე წარმატებების მოპოვებას; ოლიმპიადაზეც გუნდურ ტურნირში ჩვენგან პირველად სწორედ მშვილდოსნებმა იასპარეზეს, მაგრამ მსოფლიოს პირველობაზე მედლის მოპოვებას მაინც ძნელად ვიფიქრებდით. საქართველოს ქალთა შორის ევროპიდან ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავს - **ქეთევან ლოსაბერიძე**, რომელიც გუნდურში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიცაა, მაგრამ აქამდე პირადში მედალი არ გვქონია, ესებუამ კი ნავსი გატეხა.

ლომის წილი მოჭიდავეებზე

ასევე ტრადიციულად, წლევანდელ ოლიმპიურ გუნდშიც ლომის წილი კვლავაც საჭიდაო სახეობებზეა, რომლებმაც ამჯერად უჩვეულოდ იყოჩაღეს – ძიუდოში, თავისუფალი თუ ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 21 შესაძლებლიდან 20 საგზურია მოპოვებული. ძიუდოისტები სრული გუნდით ადრეც ყოფილან ოლიმპიაადზე წარმოდგენილნი და მათგან სრული კვოტის მოპოვება არ გაგვკვირვებია, აი, „თავისუფლები" კი ისტორიაში პირველად წავლენ ბოლომდე დაკომპლექტებული გუნდით. ერთადერთი საგზური მოუპოვებელი მხოლოდ ბერძენ-რომაელებს დარჩათ უმჩატეს წონაში, 55 კილოგრამში.

ძიუდოისტთა ნაკრებიდან ლონდონში წასვლა ოთხ კაცს – **ლაშა შავდათუაშვილს** (66), **ნუგზარ ტატალაშვილს** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილს** (81) და **ვალერი ლიპარტელიანს** (90) - გარანტირებული აქვს, რადგან ამ წონებში სხვები ვერ მოხვდნენ სალიცენზიო 22 კაცში და ახლა ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ამ კვარტეტს ვერ შევცვლით. დანარჩენ წონებში საგზურები **ამირან პაპინაშვილმა** და **ბეთქილ შუკვანმა** (ორივე – 60), **ლომერ ჟორჟოლიანმა** და **ირაკლი ცირეკიძემ** (100), **ადამ ოქრუაშვილმა** და **ზვიად ხანჯალიაშვილმა** (+100) მოიპოვეს. გუნდის ავსტრიელ თავკაცს **პეტერ ზაიზენბახერს** ჯერ არ დაუსახელებია, ვის აარჩევს მათ შორის, თუმცა ეს უახლოეს დღეებში უნდა გააკეთოს, რადგან ვადები იწურება. მართალია, კულუარული ხმებით მან უკვე გააკეთა არჩევანი, მაგრამ ნუ დავასნრებთ მოვლენებს და დავიცადოთ ორიოდე დღეც...

შემადგენლობა ოფიციალურად ჯერ არც „თავისუფალთა" ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზაზა თურმანიძეს** და მის ბერძენ-რომაელ კოლეგა **ბეგი დარჩიას** დაუსახელებიათ, თუმცა არსებითად, გარკვეულია, ვინ იჭიდავებს ლონდონში – ორივე მწვრთნელი ლიცენზიების მომპოვებელ ფალავნებს ეყრდნობა. ამდენად, „თავისუფალთა" ტურნირში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120), ბერძენ-რომაელთა შორის კი ოლიმპიური მედლების მოპოვებას **რევაზ ლაშხი** (60), **მანუჩარ ცხადაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96) და **გურამ ფერსელიძე** (120) შეეცდებიან.

სხვა სახეობები

ოლიმპიურ გუნდში ამჯერად 4 წარმომადგენელი ეყოლებათ მძლეოსნებს – სიგრძეზე მხტომელები, **მარიამ გოგოლაძე** და **ბოლესლავ სხირტლაძე**, 110-მეტრიან თარჯმრბენზე მორბენალი **დავით ილარიანი** და პოლონელი **მასიეუ როსიევიჩი** 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. 3 კაცით იქნება წარმოდგენილი ძალოსანთა ნაკრები – **გია მაჭავარიანი, რაულ ცირეკიძე** და **ირაკლი თურმანიძე**, ორით — ჩოგბურთი, **ანა ტატიშვილი** და **მაკა ჩახნაშვილი**. თითო ლიცენზიატი ჰყავთ ბატუტზე ხტომას - **ლუბა გოლოვინა**, ცურვას – **ირაკლი ბოლქვაძე**, კრივს – **მერაბ თურქაძე** და ველოსპორტს – **გიორგი ნადირაძე**. ამ 35-დან მხოლოდ სამია „ველური ბარათით" მოპოვებული – ჩოგბურთელთა ორივე საგზური და ველოსპორტისა. „ველური ბარათი" მიიღო, თუმცა მერე ლიცენზია თავისითაც მოიპოვა ბოლქვაძემ, რაც ჩვენთვის უპრეცედენტო ფაქტია. ოლიმპიურ გუნდში წლეულს ასევე პირველად გამოჩნდა ველოსპორტი. სამაგიეროდ, წინა ოლიმპიადისგან განსხვავებით, აღარსად ჩანან ტანმოვარჯიშეები და ფრენბურთელები, მინიმალურადაა წარმოდგენილი კრივიც, რომელზეც გაცილებით მეტი გათვლა კეთდებოდა. პეკინური თამაშების დარად, უცხოელთა გარეშე არც ამჯერად ვიქნებით, ოღონდ ბრაზილიელი პლაჟბურთელები – **საქა-რთველო** და **გეორ-გია** პოლონელმა როსიევიჩმა შეცვალა. მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს და სალიცენზიო ტურნირში ჩვენი სახელით გამოვიდა, თუმცა იყო შიში, რომ უკვე ლიცენზირებულს პოლონური მხარე არ შეელეოდა. საბოლოოდ დაახლოებით ისე გამოვიდა, რომ როსიევიჩი ძალოსან **არსენ კასაბიევში** გაიცვალა. მოგეხსენებათ, ეს უნიჭიერესი ცხინვალელი სპორტსმენი ოჯახის წევრებზე მუქარით ოსურმა მხარემ აიძულა, საქართველოდან წასულიყო. თუმცა საქართველოს პატივისცემით, რუსეთში მაინც არ გადავიდა და პოლონეთს მიაშურა **ვანო გრიქუროვის** ხათრით. მას ახლაც ძალიან სურს გრიქუროვთან მომზადება, მაგრამ...

წასვლის გრაფიკი

ჩვენი დელეგაცია ლონდონში ნაწილ-ნაწილ გაემგზავრება. ყველაზე ადრე – 22 ივლისს ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი, ოლიმპიური ჩემპიონი **დავით გობეჯიშვილი** და სეოკ-ის თანამშრომლები, **რუსუდან აფციაური** და **გიორგი ესაკია** წავლენ. მათთან ერთად გაემგზავრება გუნდის მედროშე სალუქვაძეც, დელეგაციის ძირითადი ბირთვი კი 25 ივლისს გაფრინდება. პრაქტიკულად, მოჭიდავეთა გარდა ყველა ამ დღეს წავა, ოლიმპიადაში კი ყველაზე ადრე, ტრადიციულად, მშვილდოსნები ჩაებმებიან. გასხნის დღესვე – 27 ივლისს ოფიციალური ვარჯიშია, 28-ში კი საკვალიფიკაციო ტურნირი. ამავე დღეს კიდევ რამდენიმე ჩვენებური იასპარეზებს – ტატიშვილი ჯერ ერთეულებში გამოვა, მერე კი წყვილებში ჩახნაშვილთან ერთადაც მოსინჯავს ძალებს. ასევე გამოვლენ ნადირაძე, თურქაძე და ძიუდოში 60 კილოგრამის მონაწილე. 29-ში სხვებთან ერთად სტარტზე სალუქვაძეც დადგება. ამდენად, ოლიმპიადაზე ტავიდანვე სადაგი დღეები გვექნება.

ირაკლი თავაძე

TimeLine

პურის რიგიდან NBA-ს დრაფტამდე

არა მხოლოდ ივლისის, არამედ წლის მთავარი საკალათბურთო მოვლენა NBA-ს დრაფტზე საქართველოს ნაკრების 20 წლის ფორვარდის **თორნიკე შენგელიას** არჩევა იყო.

ბოლო დღეებში არაერთხელ მომიწია სიტყვა დრაფტის განმარტებამ. ყველაზე მარტივად ასე ჟღერს: NBA-ს 30 გუნდი რიგში დგას, დაახლოებით ისე, როგორც 90-იან წლებში პურის რიგში ვიდექით. თითოეულ კლუბს ჩვენსავით ტალონი აქვს, რომელიც მაისში ამერიკის საკალათბურთო ასოციაციამ ლატარიასავით გაათამაშა. ვისაც დაბალი ნომერი შეხვდა, რიგშიც პირველია და ირჩევს საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელს.

დრაფტი და 90-იანების პურის რიგი ერთმანეთისგან ფულის წონით „ოდნავ" განსხვავდება: საქართველოში პურს ხურდებით ვყიდულობდით, ამერიკაში კი დრაფტზე აყვანილ კალათბურთელებს მილიონებს უხდიან.

■ ■ ■

ყოფილა შემთხვევა, როცა დრაფტზე მყიდველისთვის „დამწვარი პური შეუპარებიათ". პირიქითაც მომხდარა - არცთუ ეფექტურად შეფუთული პური გემრიელი ლუკმა გამომდგარა. მაგალითად, **ზაზა ფაჩულიას** დრაფტის პირველ წრეში არჩევას ველოდით, მაგრამ მეორე წრეში, 42-ე ნომრად „ორლანდო მეჯიქმა" აიყვანა. იმ საღამოს ზაზას ნიუ-იორკში დავურეკე, განაწყენებული იყო: ამერიკელებმა შეცდომა დაუშვეს, რასაც თამაშით აუცილებლად დავუმტკიცებო. ფაჩულიამ სიტყვა შეასრულა - 2003 წლის დრაფტზე არჩეულ არაერთ რეკლამირებად კალათბურთელს აჯობა და დღეს NBA-ს სოლიდურ ცენტრად ითვლება.

2003 წლის დრაფტის ღამეს კურიოზულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ზაზას ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროში დავურეკე. ყურმილის გაღმა მყოფს ავუხსენი, რომ საქართველოდან ვიყავი და კალათბურთელ ფაჩულიასთან მინდოდა დალაპარაკება. ცოტა მოითმინეო, მითხრა. მალე ყურმილში ქალის ქართული ლაპარაკი მომესმა, რამაც ცოტა გამაკვირვა:

- ზაზა ფაჩულიასთან მინდა დალაპარაკება. თქვენ ვინ ბრძანდებით?

- სხვაგან მოხვდით, ეს ნიუ-იორკის კლინიკაა. დიდი ხანია საქართველოდან ვარ წამოსული და აქ ვმუშაობ. სასიამოვნოა ქართული ხმის გაგონება. შემიძლია დაგეხმაროთ, გაგიგოთ ფაჩულია რომელ სასტუმროშია...

მოკლედ, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, როგორშიც კინოფილმ „მიმინოს" გმირი ვალიკო, ოღონდ „ჟუჟუნა წვიმა" არ მიმღერია.

■ ■ ■

ვფიქრობ, როგორც ზაზა ფაჩულია არ შეფასდა სათანადოდ, ასევე თორნიკე შენგელია, რომელიც დრაფტის 54-ე ნომრად „ფილადელფიამ" აიყვანა და „ბრუკლინ ნეთსს" დაუთმო. კიდევ ერთი პარალელის გავლება შეიძლება: სწორედ ასეთი ვითარება იყო 2004 წელს, როცა **ვიქტორ სანიკიძე** „ატლანტა ჰოქსმა" 53-ე ნომრად აირჩია და უმალ „სან ანტონიო სპურსში" გაუშვა.

სხვათა შორის, სპურსელებს ქართველი თავდამსხმელისთვის ყურადღება არ მოუკლიათ - მუხლებზე ოპერაცია რომ დასჭირდა, ამერიკაში წაიყვანეს და რეაბილიტაციის პერიოდიც ტეხასში გაატარინეს. სანიკიძე მაშინ სან-ანტონიოს კეპს ატარებდა, რის გამოც კინაღამ შარში გაეხვია: NBA-ს ფინალური სერიის („სან ანტონიო"-"დეტროიტი") მსვლელობისას საქართველოდან დეტროიტის აეროპორტში ჩაფრინდა, სადაც პოლიციელმა ცალკე ოთახში შეიყვანა. ვიქტორმა გაიკვირვა - რა გნებავთ, ყველაფერი წესრიგში მაქვსო. პასუხად მიიღო: ყველაფერი არ არის წესრიგში - დეტროიტის აეროპორტში „სან ანტონიოს" ქუდით შემოსვლა როგორ გაბედეო...

თორნიკე შენგელია

» ფე-15 გვერდზე

კალათბურთის ფედერაციის განცხადება

EUROBASKET 2013: შესარჩევი ტურნირის აკრედიტაციების მისაღებად განაცხადების მიღება დაიწყო

დაიწყო აკრედიტაციების გაცემა ევროპის 2013 წლის შესარჩევი ტურნირისთვის. აკრედიტაცის მისაღებად საჭიროა:

1. განაცხადი საინფორმაციო საშუალების სატიტულე ფურცელზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის სახელზე;

2. საპასპორტე ზომის ფოტოსურათი;

განაცხადები და ფოტოსურათები გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე media@gbf.ge ან წარმოადგინეთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ა.

განაცხადების მიღება შეწყდება 14 ივლისს.

● კალათბურთი

ნეშმა ლეიკერსი აირჩია

სტივ ნეში

"ფინიქს სანზმა" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის **სტივ ნეშის** ტრანსფერზე მოილაპარაკეს - კანადელი ვეტერანი კალიფორნიულ გრანდში გააგრძელებს კარიერას.

გარიგების თანახმად, "ფინიქსი" ნეშის სანაცვლოდ დრაფტზე ოთხ არჩევანს მიიღებს: პირველ რაუნდში 2013 და 2015 წლებში და მეორე რაუნდში 2013 და 2014 წლებში. "ლეიკერსში" სამი წელი გამოსვლის სანაცვლოდ, 38 წლის ნეში 27 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

სტივზე ასევე პრეტენზიას აცხადებდნენ "ნიუ იორკი", "ტორონტო" და "დალასი". კანადური კლუბი მცველს 9 მილიონით მეტს სთავაზობდა, ვიდრე "ლეიკერსი", მაგრამ ნეშმა სწორედ ლოს ანჯელესზე შეაჩერა არჩევანი. გადამწყვეტი აღმოჩნდა ორი ფაქტორი: საჩემპიონო ამბიციების გუნდში გადასვლა და უფრო მეტი დროის გატარება ოჯახთან.

ნეშის გადაბირების წინადადებით არაერთხელ გამოვიდა "ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი**, ასე რომ, კანადელი კალათბურთელის კარიერის ამგარ განვითარებაზე, სავარაუდოდ, ამ ფაქტორმაც ითამაშა გარკვეული როლი.

ნეში NBA-ში კარიერას "ფინიქსის" შემადგენლობაში იწყებდა. 1996-98 წლებში ამ გუნდში თამაშის შემდეგ, გამთამაშებელმა ექვსი წელი "დალასში" გაატარა და კვლავ "სანზში" აღმოჩნდა. სტივი ორჯერ აღიარეს სეზონის საუკეთესო მოთამაშედ (2005, 2006), ასევე მან რვაჯერ ითამაშა "ყველა ვარსკვლავის მატჩში".

ამერიკული პრესის ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ "ლეიკერსის" შემადგენლობაში ვიხილოთ "ფინიქსის" კიდევ ერთი ვეტერანი **გრანტ ჰილი**. ნეში ეცდება დაარწმუნოს ეს შესანიშნავი ფორვარდი, რომ მათ ერთად იბრძოლონ კარიერაში პირველი საჩემპიონო ტიტულისთვის.

ფინიქსმა ვაკუუმი შეავსო

ნეშს გორან დრაგიჩი შეცვლის

სტივ ნეშის გაშვების პარალელურად, "ფინიქსმა" საკუთარი შემადგენლობის გაძლიერებისთვისაც იზრუნა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მოსაგვარებელი იყო გამთამაშებლის პოზიციაზე წარმოქმნილი ვაკუუმი. კანადელის შეცვლა მოუწევს "ჰიუსტონის" მცველს **გორან დრაგიჩს**. როგორც ESPN ნერს, მხარეებმა ოთხწლიან კონტრაქტზე მოილაპარაკეს, რომლის ღირებულება 34 მილიონი დოლარი იქნება. ამასთან, მეოთხე სეზონზე ამ ხელშეკრულების გაგრძელების უფლება დრაგიჩს ექნება.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის გორანი "სანზში" 2008-11 წლებში თამაშობდა და ნეშის დუბლიორი იყო, ამიტომაც არასაკმარისი სათამაშო დრო ჰქონდა. "ფინიქსის" გარდა, სლოვენიელ მცველზე პრეტენზიას აცხადებდნენ "ტორონტო", "დალასი" და "შარლოტი".

NBA-ში დრაგიჩის სტატისტიკა 11.7 ქულასა და 5.3 შედეგიან პასს უდრის.

"ფინიქსის" მეორე ახალწვეული გახდება ფორვარდი **მაიკლ ბიზლი**. 23 წლის თავისუფალი აგენტი სამწლიან და 18-მილიონიან კონტრაქტს გააფორმებს. ბიზლიმ ასეთი გადაწყვეტილება "სანზის" ხელმძღვანელობასთან ორჯერ შეხვედრის შემდეგ მიიღო.

ბოლო ორი სეზონი ბიზლიმ "მინესოტას" შემადგენლობაში ითამაშა, 2008 წლის დრაფტზე კი ის მეორე ნომრად აირჩია "მაიამიმ". "ფინიქსის" გარდა, ამ ფორვარდის გადაბირება ოთხ კლუბს სურდა. "მინესოტაში" თამაშისას ბიზლის საშუალო სტატისტიკა 15.1 ქულასა და 5.6 მოხსნას უდრიდა.

გორან დრაგიჩი

■ ■ ■

კიდევ ერთი სატრანსფერო სიახლე "ოკლაჰომას" უკავშირდება. NBA-ის ფინალისტი მოელაპარაკა ცენტრ **ჰაშიმ ტაბიტს**. ეს კალათბურთელი 2009 წელს "მემფისმა" დრაფტზე მეორე ნომრად აირჩია. ტაბიტი "თანდერთან" ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

გასული სეზონი ჰაშიმმა "ჰიუსტონსა" და "პორტლენდში" გაატარა და საშუალოდ 2.2 ქულასა და 2.7 მოხსნას აგროვებდა.

● ჰოკეი

მინესოტას ორმაგი დარტყმა

ველურებმა ორი დიდი ტრანსფერი გაჩარხეს

რაიან სუტერი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი გარიგება შედგა. ყველაზე სასურველმა თავისუფალმა აგენტებმა, ფორვარდმა **ზაკ პარიზემ** და მცველმა **რაიან სუტერმა** თავიანთი არჩევანი "მინესოტაზე" შეაჩერეს.

ორივე ჰოკეისტს ერთნაირი კონტრაქტი ერგო – 13 წელი და 98 მილიონი დოლარი. შესაბამისად, ყოველწლიური საშუალო ხელფასი 7,538 მილიონი დოლარი იქნება.

"ეს დიდი დღეა "მინესოტას" ისტორიაში, - ამბობს კლუბის გენერალური მენეჯერი **ჩაკ ფლეტჩერი**. - *მოხარული ვარ, რომ გუნდში ორი ასეთი ოსტატი მივიღეთ".*

პარიზე გასულ სეზონში "ნიუ ჯერსის" კაპიტანი იყო. მთელი კარიერის განმავლობაში ის სწორედ ამ კლუბში თამაშობდა. 2011-12 წლების ჩემპიონატში პარიზემ 82 მატჩში 69 ქულა (31+38) დააგროვა, პლეი ოფში კი მეექვსე ადგილზე გავიდა ბომბარდირთა სიაში – 15 ქულა (8+7).

ზაკმა ხაზი გაუსვა იმას, რომ "მინესოტა" შემთხვევით არ აურჩევია: *"არჩევანი "ნიუ ჯერსისა" და "მინესოტას" შორის უნდა გამეკეთებინა. ეს ძალიან მძიმე იყო. მომწონდა "ნიუ ჯერსიში" თამაში. ეს არის უმაღლესი კლასის გუნდი. აქ ბევრი კარგი მეგობარი მყავს და მე მათი ერთგული ვარ. მაგრამ ნებისმიერი ბავშვი, ვინც მინესოტაში გაიზარდა, "უაილდის" რიგებში თამაშზე ოცნებობს. მე სწორედ ამ ქალაქში გავიზარდე და ზაფხულში ყოველთვის აქ ვბრუნდებოდი. ახლა, კარგია, რომ მთელ წელს მინესოტაში გავატარებ".*

რაც შეეხება სუტერს, ის შარშან "ნეშვილში" თამაშობდა და რეგულარულის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მცველი იყო – 46 ქულა (7+39). მას ყოფილ კლუბთან ოთხწლიანი და 14-მილიონიანი კონტრაქტი აკავშირებდა.

სხვათა შორის, ორივე მოთამაშე 2003 წლის დრაფტის მონაწილეა – სუტერი იქ მეშვიდე ნომრად აირჩიეს, პარიზე – მეჩვიდმეტედ. ორივე ამერიკელია და მათ ერთად უთამაშიათ აშშ-ის იუნიორთა, ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში. ადრე პარიზე აღიარებდა, რომ სიამოვნებით ითამაშებდა სუტერთან ერთად ერთ კლუბში.

■ ■ ■

გასულ დღეს კიდევ ორი მნიშვნელოვანი გარიგება შედგა. სატრანსფერო ბაზარზე **რაიან სუტერის** შემდეგ, ყველაზე მოთხოვნადი მცველი **მეტ კარლი** იყო და მისი გადაბირება მოახერხა "ტამპა ბეიმ". უფრო სწორად, კარლი დაბრუნდა "ლაითნინგის" რიგებში (2008-09 წლების სეზონში 12 მატჩი ჩაატარა "ტამპას" მაისურით). ამ კლუბთან მისი ახალი კონტრაქტი ექვსწლიანია და მცველი 33.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

გასული სეზონი კარლმა "ფილადელფიაში" გაატარა და 82 მატჩში 38 ქულა (4+34) დააგროვა.

დაბოლოს, ცენტრფორვარდი **სტივ სალივანი** "ფინიქსში" გააგრძელებს კარიერას. ხელშეკრულების ფასი 1.85 მილიონი დოლარია. გასული სეზონი ჰოკეისტმა "პიტსბურგში" გაატარა და 54 ქულით (19+35) დაეხმარა თავის გუნდს.

● ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

ნიგერიელები

სენსაცია: ნიგერიამ ლიტვას მოუგო

ვენესუელაში დასრულდა ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი და პლეი ოფის მატჩების დრო დადგა. ჯგუფური ტურნირი მხოლოდ ორმა ფავორიტმა გაიარა უდანაკარგოდ – საბერძნეთმა და რუსეთმა. გუშინ კი, სენსაცია შემოგვთავაზა ნიგერიის ნაკრებმა – მან ლიტვის დამარცხება შეძლო, თუმცა მაინც მეორე ადგილი დაიკავა ჯგუფში და მეოთხედფინალში საბერძნეთზე გავიდა.

A ჯგუფი

საბერძნეთი-პუერტო რიკო 98:84

30:27, 19:20, 21:15, 28:22

ს: სპანულისი (27+5 პასი), პრინტეცისი (16), ბურუსისი (16).
პ-რ: რამოსი (15+7 მოხსნა), ბარეა (13), ბელამანი (13).
სატურნირო მდგომარეობა: საბერძნეთი - 2 მოგება/0 წაგება, პუერტო რიკო - 1/1, იორდანია - 0/2.

B ჯგუფი

ლიტვა-ნიგერია 80:86

20:20, 18:21, 19:26, 23:19

ლ: კლეიზა (22), იასიკიავიჩუსი (14), პოჩიუსი (13).
ნ: ობასოპანი (20), ამინუ (16+9 მოხსნა), სკინი (15).
სატურნირო მდგომარეობა: ლიტვა - 1 მოგება/1 წაგება, ნიგერია - 1/1, ვენესუელა - 1/1.

C ჯგუფი

რუსეთი-დომინიკის რ 84:69

23:18, 21:20, 21:15, 19:16

რ: კირილენკო (16+13 მოხსნა+7 პასი), ფრიძონი (16), ხრიაპა (14+5 მოხსნა+6 პასი), კაუნი (10+7 მოხსნა).
დ: ჰორფორდი (22+9 მოხსნა+4 პასი), მარტინესი (13+12 მოხსნა).
სატურნირო მდგომარეობა: რუსეთი - 2 მოგება/0 წაგება, დომინიკის რესპუბლიკა - 1/1, ს. კორეა - 0/2.

D ჯგუფი

ანგოლა-ახ. ზელანდია 64:68

12:14, 14:26, 26:18, 12:10

ა: მინგასი (17+10 მოხსნა), ჩიპრიანო (11+5 მოხსნა).
ზ: უებსტერი (21), ჰენრი (15), ლუ (13).
სატურნირო მდგომარეობა: მაკედონია - 1 მოგება/1 წაგება, ანგოლა - 1/1, ახალი ზელანდია - 1/1.

1/4 ფინალი

საბერძნეთი-ნიგერია
ლიტვა-პუერტო რიკო
რუსეთი-ანგოლა
მაკედონია-დომინიკის რ

ნადალი ლონდონამდე არ ითამაშებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** გადაწყვიტა ოლიმპიადამდე პაუზა აიღოს. ლონდონის თამაშებამდე ესპანელ ჩოგბურთელს დაგეგმილი ჰქონდა საჩვენებელი შეხვედრა სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩთან**. მატჩის ჩატარების ადგილი იყო მადრიდის საფეხბურთო არენა "სანტიაგო ბერნაბეუ", თარიღი – 14 ივლისი. ელოდნენ, რომ რაფასა და ნოვაკის შეხვედრას დაახლოებით 80 ათასი მაყურებელი დაესწრებოდა, შემოსული თანხა კი ნადალის საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხებოდა. მაგრამ რაფაელმა მუხლის ტრავმის გამო თქვა უარი ამ გრანდიოზულ გეგმაზე.

ესპანელმა ჩოგბურთელმა ბოდიში მოუხადა იმ მაყურებლებს, რომლებმაც უკვე შეიძინეს ბილეთები. ნადალი მათ ოლიმპიადისთვის გამოჯანმრთელებას დაჰპირდა.

სასტუმროები გაიაფდა

კარგი ამბავი შეიტყვეს იმ გულშემატკივრებმა, რომლებსაც ლონდონის ოლიმპიადაზე დასწრება აქვთ გადაწყვეტილი. ბოლო ინფორმაციის თანახმად, უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში სასტუმროს ნომრების ფასი 25 პროცენტით დაეცა და დაახლოებით 200 ევროს უდრის. თუმცა ეს მაჩვენებელი შარშანდელზე 75 პროცენტით მაღალია.

● კრივი

გამოძიება არ იქნება

გადაწყდა, რომ ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და ამერიკელი **ტიმოტი ბრედლის** ბრძოლის შედეგის გამო კრიმინალური გამოძიება არ შედგება.

შეგახსენებთ, რომ 9 ივნისს პაკიაომ მსაჯების საკამათო გადაწყვეტილებით დათმო საჩემპიონო შეხვედრა ტიმოტი ბრედლის წინააღმდეგ და ამ შეხვედრის შედეგმა აღშფოთება გამოიწვია მთელ საკრივო სამყაროში.

ნევადას შტატის პროკურორმა **კატრინ კორტეს მასტომ** დაკითხა ბრძოლის რეფერი და კიდევ სამი ადამიანი, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ბრძოლის ორგანიზებაზე. ამის შემდეგ პროკურორმა გადაწყვიტა, რომ არ გაჩნდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი.

"სპორტული მსაჯების სუბიექტური გადაწყვეტილება არ გახლავთ საკმარისი საფუძველი გამოძიების დასაწყებად. ვერ აღმოვაჩინეთ თუნდაც ერთი ფაქტი, რომელიც იმ შეხვედრაში კანონის დარღვევაზე მიგვანიშნებდა", - წერია პროკურორის ოფიციალურ განცხადებაში.

უფრო ადრე მსოფლიოს საკრივო ორგანიზაციამ (WBO) ხუთ დამოუკიდებელ არბიტრს დაავალა ბრძოლის შედეგის შემოწმება და ექსპერტთა შეფასებით, იმ ბრძოლაში გამარჯვება პაკიაომ მოიპოვა. მაგრამ შეხვედრის შედეგის შეცვლა WBO-ს არ შეუძლია.


ტიმოტი ბრედლი-მენი პაკიაო

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2012



ნოვაკ ჯოკოვიჩი

დღეს დიდი მატჩია

როჯერ ფედერერი და ნოვაკ ჯოკოვიჩი ბალახზე პირველად შეხვდებიან ერთმანეთს

ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ფლორიან მაიერის მეოთხედფინალის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე სერბ ჩოგბურთელს არა განვლილ მატჩზე, არამედ როჯერ ფედერერთან მომავალ ნახევარფინალზე უსვამდნენ შეკითხვებს...

- რას ფიქრობთ ამ დიდი მატჩის წინ?

- ნებისმიერი მატჩი როჯერთან, რაფასთან ან რომელიმე ტოპმოთამაშესთან - ეს ახალი გამოწვევაა. როჯერმა დიდი დრო გაატარა მწვერვალზე. გარდა ამისა, აქ ექვსი ტიტული მოიპოვა. და ახლა, უნდა დაუმტკიცოს საკუთარ თავს და ყველას, რომ კიდევ ერთხელ შეუძლია ამის გაკეთება. ბოლო მატჩი მან ძალიან სწრაფად და იოლად მოიგო. ვნახოთ, ამჯერად რა გამოვა. მჯერა, რომ კარგად ვთამაშობ, მაგრამ მოსაგებად ორივეს გვჭირდება საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენება.

- უკვე ოცდამეშვიდედ ხვდებით როჯერს, მაგრამ პირველად ითამაშებთ ბალახზე. ეს რამეს ცვლის?

- თავისი მოჭრილი დარტყმებით ის უკეთ იყენებს ბალახის კორტის თავისებურებებს. მას საკმაოდ გონივრულად აქვს დაყენებული თამაში ამ საფარზე. თუმცა მეც უკეთ დავიწყე თამაში ბალახზე. შარშან აქ ტიტული მოვიგე, წელს უკვე ნახევარფინალში ვარ. მოკლედ, თავს კარგად ვგრძნობ. დასაკარგი არაფერი მაქვს და შევეცდები მოგებას.

- გასაგებია, რომ ახლა უიმბლდონზე ხართ კონცენტრირებული, მაგრამ რამდენად განსაკუთრებულია ეს ტურნირი ოლიმპიადის ფონზე, რომელიც სამ კვირაში დაიწყება?

- დიახ, ახლა მომავალ ნახევარფინალზე მეტად არაფერი მაინტერესებს. თან უიმბლდონი საუკეთესო ტურნირია ჩვენს სახეობაში. მინდა აქ კარგად გამოვიდე და მოვიგო დარჩენილი ორი მატჩი. ოლიმპიადაზე კი შემდეგ ვიფიქრებ. თუმცა მოხარული ვარ, რომ ოლიმპიური თამაშები ამ კორტებზე გაიმართება.

- მთელი ცხოვრება ოცნებობდით უიმბლდონის მოგებაზე და შარშან მიზანს მიაღწიეთ. ახლა დაბრუნდით და ტიტულს იცავთ. რა განსხვავებაა პირველ მოგებასა და ჩემპიონობის დაცვას შორის?

- გააჩნია, ამ საკითხს როგორ შევხედავთ. მე არ ვცდილობ მაინცდამაინც ტიტულის დაცვას, უბრალოდ ვებრძვი დარჩენილ მოთამაშეებს, რომლებიც ნახევარფინალში გავიდნენ. შარშან ტურნირის მოგებით, ერთგვარი შვება ვიგრძენი, რადგან ადრე ბალახი არ მიიჩნეოდა ჩემთვის წარმატებულ კორტად. მაგრამ ახლა შესანიშნავად ვგრძნობ თავს ბალახის მოედანზე. წელს თავიდანვე კარგად ვთამაშობ და იმედი მაქვს, იმავე განწყობით გავაგრძელებ.

- შარშანდელთან შედარებით თავს უფრო დამაჯერებლად გრძნობთ?

- შარშან, სეზონის ამ მონაკვეთში უფრო კარგად ვგრძნობდი თავს, რადგან მხოლოდ ერთი მატჩი მქონდა წაგებული. თუმცა, ვფიქრობ, ახალაც ყველაფერი წესრიგშია.

- ბალახის კორტებზე თქვენი ჩოგბურთი შეიცვალა შარშანდელთან შედარებით?

- შარშან ჩემი საუკეთესო უიმბლდონი ვითამაშე ცხოვრებაში და იმ ჩოგბურთმა შესანიშნავი შედეგი მომიტანა. თუმცა ახლა ვცდილობ უფრო აგრესიული ვიყო, გავაძლიერო მოწოდება და დარტყმები გადამწყვეტ მომენტებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბალახზე.

- ამ მატჩის წაგებით, შესაძლოა, დაკარგოთ პირველი ადგილი რეიტინგში. ეს ფაქტორი ფსიქოლოგიურ ზეწოლას ხომ არ იწვევს?

- ასეთ მეტოქესთან ამ სტადიაზე მატჩს ისედაც ბევრი ფაქტორი და ქვეტექსტი ახლავს. ასე რომ, ზეწოლა ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა. რეიტინგზე ბევრს არ ვფიქრობ, უბრალოდ, მინდა მაქსიმალურად ვიყო კონცენტრირებული მომავალ მატჩზე.

- მიგაჩნიათ, რომ ფსიქოლოგიური უპირატესობა გაქვთ როჯერზე იმის გამო, რომ ბოლო რვა მატჩში შვიდჯერ დაამარცხეთ ის?

- თითქმის ყველა მატჩი, რომელიც ჩვენ ერთმანეთის წინააღმდეგ ჩავატარეთ, ძალიან დაძაბული იყო და მათი ბედი რამდენიმე გათამაშებით ირკვეოდა. ორი წლის განმავლობაში, ამერიკის ღია პირველობაზე მატჩბოლებიდან გადარჩენა მიწევდა. მომავალ ნახევარფინალში დაძაბულ დუელს ველი. როგორც ვთქვით, მასთან ბალახზე არ მითამაშია, ასე რომ, ყველასთვის საინტერესო იქნება საბოლოო შედეგი.

- თქვენი აზრით, რა ადგილი უკავია როჯერს ჩოგბურთის ისტორიაში?

- ის ძალიან წარმატებულია ბოლო რვა-ცხრა წლის განმავლობაში - მარტო ეს არის საკმარისი. მას ყველაზე მეტჯერ აქვს მოგებული „დიდი სლემის“ ტურნირები. მე მგონი, გადამეტებული ნათქვამი არ იქნება, თუ როჯერს ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელს ვუწოდებთ. მან მოიგო ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია და ამაზე გაჩერებას არ აპირებს. მას ძალიან დიდ პატივს ვცემ, სხვა მოთამაშეებიც ასე არიან. მაგრამ ამასთან, ჩვენ ყველანი მეტოქეები ვართ. მე არ ვფიქრობ მის ადგილზე ისტორიაში და მის წარმატებებზე, როცა კორტზე გავდივარ, უბრალოდ მინდა მოვიგო მატჩი.

როჯერ ფედერერი vs ნოვაკ ჯოკოვიჩი

30 (08.08.1981)	ასაკი	25 (22.05.1987)
ბაზელი (შვეიცარია)	დაბადების ადგილი	ბელგრადი (სერბეთი)
185 სმ	სიმაღლე	188 სმ
85 კგ	წონა	80 კგ
1998 წლიდან	კარიერა	2003 წლიდან
846/192	მოგება/წაგება	430/117
74	ტიტული	30
71 126 377$	ჯონორარი	37 672 100$
3	რეიტინგის ნომერი	1

ურთიერთშეხვედრები

ფედერერი-ჯოკოვიჩი		14:12
2012 საფრანგეთის ღია (გრუნტი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	6:4 7:5 6:3 (1/2)
2012 რომი (გრუნტი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	6:2 7:6(4) (1/2)
2011 დუბაი (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	6:2 6:1 (1/2)
2011 აშშ-ის ღია (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	6:7(7) 4:6 6:3 6:2 7:5 (1/2)
2011 საფრანგეთის ღია (გრუნტი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	7:6(5) 6:3 3:6 7:6(5) (1/2)
2011 ინდიან უელსი (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	6:3 3:6 6:2 (1/2)
2011 დუბაი (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	6:3 6:3 (ფინალი)
2011 ავსტრალიის ღია (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	7:6(3) 7:5 6:4 (1/2)
2010 ლონდონი (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:1 6:4 (1/2)
2010 ბაზელი (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:4 3:6 6:1 (ფინალი)
2010 შანხაი (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	7:5 6:4 (1/2)
2010 აშშ-ის ღია (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	5:7 6:1 5:7 6:2 7:5 (1/2)
2010 ტორონტო (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:1 3:6 7:5 (1/2)
2009 ბაზელი (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	6:4 4:6 6:2 (ფინალი)
2009 აშშ-ის ღია (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	7:6(3) 7:5 7:5 (1/2)
2009 ცინცინატი (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:1 7:5 (ფინალი)
2009 რომი (გრუნტი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	4:6 6:3 6:3 (1/2)
2009 მაიამი (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	3:6 6:2 6:3 (1/2)
2008 აშშ-ის ღია (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:3 5:7 7:5 6:2 (1/2)
2008 მონაკო (გრუნტი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:3 3:2 უარი (1/2)
2008 ავსტრალიის ღია (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	7:5 6:3 7:6(5) (1/2)
2007 აშშ-ის ღია (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	7:6(4) 7:6(2) 6:4 (ფინალი)
2007 მონრეალი (ჰარდი)	ჯოკოვიჩი-ფედერერი	7:6(2) 2:6 7:6(2) (ფინალი)
2007 დუბაი (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:3 6:7(6) 6:3 (1/4)
2007 ავსტრალიის ღია (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:2 7:5 6:3 (IV)
2006 დევისის თასი (ჰარდი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:3 6:2 6:3
2006 მონაკო (გრუნტი)	ფედერერი-ჯოკოვიჩი	6:3 2:6 6:3 (I)

სერენა თუ აგნიეშკა?

უიმბლდონის ქალთა ტურნირზე პოლონურ-ამერიკული დაპირისპირება შედგება

გუშინ, უიმბლდონზე ქალთა ნახევარფინალების დღე იყო. პირველები ცენტრალურ კორტზე **აგნიეშკა რადვანსკა** და **ანჟელიკ კერბერი** გავიდნენ. გერმანელმა იცოდა, როგორ ეთამაშა პოლონელის წინააღმდეგ, რადგან ორჯერ ჰყავდა დამარცხებული თავისი გუშინდელი მეტოქე, მათ შორის, შარშანდელ ამერიკის ღიაზე. მაგრამ აგნიეშკამ ამ სეზონში მკვეთრად გააუმჯობესა თამაში და ამ უიმბლდონის შედეგების მიხედვით მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულს უმიზნებს.

გერმანელმა ეს შეხვედრაც აგრესიულად დაიწყო და სტარტზევე ბრეიკი გააკეთა, თუმცა უპირატესობა დიდი ხანი არ ჰქონია. თანდათან რადვანსკა დაეუფლა ინიციატივას და აღარ აძლევდა მეტოქეს შეტევის საშუალებას. 1:3-ის შემდეგ, აგნიეშკამ მეტოქეს ერთი გეიმიც არ დაუთმო და პირველი სეტი 6:3 მოიგო.

მეორე სეტი კერბერმა ისევ დამაჯერებლად დაიწყო და პირველი ხუთი ქულა თავისი აქტიურობით მოიგო. მაგრამ აგნიეშკა არც ამჯერად დაბნეულა და მალე თამაში ძველ კალაპოტში დააბრუნა - ის მაქსიმალურად ურთულებდა ცხოვრებას კერბერს და ეს უკანასკნელი მეხუთე გეიმში თავის მოწოდებაზე შედრკა. მართალია, შემდეგ გეიმში გერმანელს ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ პოლონელმა ეს საფრთხე მოიგერია და დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. ის პირველად თამაშობდა „დიდი სლემის“ ტურნირის ნახევარფინალში და პირველივე ცდაზე ფინალში გავიდა.

■ ■ ■

თუმცა გუშინდელი დღის მთავარი დაპირისპირება მეორე ნახევარფინალში შედგა, რომელშიც ერთმანეთს **სერენა უილიამსი** და **ვიქტორია აზარენკა** ხვდებოდნენ. ამერიკელი ურთიერთშეხვედრებში 7:1-ს უგებდა ბელარუსს, ამასთან მათი ბოლო მატჩი მადრიდის ტურნირზე უილიამსმა ძალიან დამაჯერებლად - 6:1, 6:3 მოიგო, შესაბამისად, ფსიქოლოგიური უპირატესობა მის მხარეს იყო.

თავიდან აზარენკა ახერხებდა ამერიკელთან თანაბარ ბრძოლას, თუმცა მეტოქის მოწოდებაზე შანსი არ ჰქონდა, რადგან სერენა ეისს ეისზე აწოდებდა. აზარენკას გეიმებზე კი ყოველთვის ბრძოლა იყო. პირველ შემთხვევაში, უილიამსმა მეექვსე გეიმში სცადა ბრეიკის გაკეთება, მაგრამ ბელარუსმა გაძლო. მერვე გეიმში კი მოსახდენი მაინც მოხდა - სერენამ პარტიაში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და შემდეგ უპრობლემოდ ჩააწოდა სეტზე.

მეორე პარტიის დასაწყისში, სერენას მოწოდებაზე მოულოდნელად ანგარიში „თანაბარი“ დაფიქსირდა, მაგრამ ამას მოჰყვა ორი ისეთი მოწოდება, რომლის წინააღმდეგ ნებისმიერი ჩოგბურთელი უძლური იქნებოდა. და იქვე უილიამსმა ვიქტორიას მოწოდებაზე იყოჩაღა, თანაც აზარენკაც დაეხმარა თავისი უზუსტობებით და ამერიკელმა ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა. სერენამ ფორჰენდი ბრწყინვალედ შეასრულა და მატჩში მეორედ აიღო მეტოქის მოწოდება.

ამ მომენტში აშკარად ჩანდა, რომ ბრეიკის მიუხედავად, უილიამსს მატჩში პირველად დაეწყო ჩავარდნა. მისი ლიდერობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა - მეექვსე გეიმში აზარენკას პირველი ბრეიკ-პოინტი მან ეისით მოიგერია, მაგრამ მეორეზე შეცდომა დაუშვა. ბრეიკმა ბელარუსს დამაჯერებლობა შესძინა და მან ჯერ ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, შემდეგ კი ყოველგვარი ნერვული დაძაბულობის გარეშე მიაღწია ტაი-ბრეიკამდე.

მე-13 გეიმში მთავარი შანსი ვიქტორიას 5:5-ზე ჰქონდა, მაგრამ ფორჰენდის შესრულებისას შეცდა და მინიბრეიკი ვერ გააკეთა. 6:6-ზე კი აზარენკამ პირველად დაკარგა ტაი-ბრეიკზე საკუთარი მოწოდება - მარცხნიდან დარტყმა ბადეს ვერ გადააცილა. უილიამსმა მეტოქეს გადარჩენის არანაირი შანსი არ დაუტოვა - მატჩში 24-ე ეისი (WTA-ის რეკორდის გამეორება და უიმბლდონის ახალი რეკორდი) ჩააწოდა.

ასე რომ, ხვალ, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან აგნიეშკა რადვანსკა და სერენა უილიამსი. ბრძოლა WTA-ის პირველი ადგილისთვის გრძელდება. პოლონელმა ფინალში გასვლით გაასწრო **მარია შარაპოვას** და პირველად გახდა კლასიფიკაციის მეორე ნომერი, ხოლო თუ ფინალს მოიგებს, ორშაბათიდან ქალთა ჩოგბურთის ახალი ლიდერი გახდება. სერენა კი შეეცდება მეხუთედ მოიგოს უიმბლდონი და ამ მაჩვენებლით თავის უფროს დას - **ვენუსს** გაუტოლდეს.

1/2 ფინალი

აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 3)-ანჟელიკ კერბერი (გერმანია, 8) 6:3, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 6)**-ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 2) 6:3, 7:6(6).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

სერენა უილიამსი

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

დიდი დუელი არ შედგა

ტურ დე ფრანსის მეოთხე ეტაპზე სპრინტერების დუელი იყო მოსალოდნელი. გამარჯვებას **მარკ კევენდიშსა** ან **ანდრე გრაიპელს** უწინასწარმეტყველებდნენ. მათი პირველი დაპირისპირება მეორე ეტაპზე შედგა და მაშინ ბრიტანელმა აჯობა გერმანელს. ახლა, გრაიპელი რევანშისთვის იყო განწყობილი.

ამ ეტაპზეც შედგა ნაკლებად ცნობილი სამი ველომრბოლის გაქცევა. ხანდახან დაწინაურებულთა უპირატესობა ძალიან დიდი იყო, თუმცა პელოტონი აკონტროლებდა სიტუაციას და საბოლოოდ, გაქცეულებს წარმატების შანსი არ დაუტოვა.

ყველაფერი ნაწინასწარმეტყველები სპრინტერული დუელისკენ მიდიოდა, მაგრამ ფინიშამდე ორი კილომეტრით ადრე პელოტონში ველომრბოლთა მთელი ჯგუფი წაიქცა და ამ ზედახორის ერთ-ერთი მსხვერპლი გახდა მარკ კევენდიში. ბრიტანელი პელოტონის შუაში იყო და იქიდან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ უსიამოვნებები თავიდან ვერ აიცილა.

სამაგიეროდ, "ლოტოს" წევრებმა იდეალურად იმუშავეს და შეტევაზე გაიყვანეს თავიანთი ლიდერი ანდრე გრაიპელი, რომელსაც ხელი ვერ შეუშალეს ცნობილმა **ალესანდრო პეტაკიმ** და **ტომ ვეელერსმა** - მათ ამ ეტაპზე მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ანდრემ ამ სეზონში მე-14 გამარჯვებას მიაღწია, ტურზე კი ეს მისი მეორე მოგება იყო კარიერაში.

გრაიპელსა და კევენდიშს მეხუთე ეტაპზე ექნებათ მორიგი დუელის შანსი. მანამდე კი ლიდერის ყვითელ მაისურს ინარჩუნებს **ფაბიან კანჩელარა**, რომელიც 7 წამს უგებს ბრიტანელ **ბრედლი უიგინსს**.

IV ეტაპი

1. **ანდრე გრაიპელი** (გერმანია - Lotto-Belisol); 2. **ალესანდრო პეტაკი** (იტალია - Lampre-ISD); 3. **ტომ ვეელერსი** (ჰოლანდია - Argos-Shimano); 4. **მეტიუ ჰოსი** (ავსტრალია - Orica-GreenEdge); 5. **პეტერ საგანი** (სლოვაკეთი - Liquigas); 6. **ჯონათან კენტველი** (ავსტრალია - SaxoBank-Tinkoff Bank); 7. **დერილ იმპი** (სამხრეთ აფრიკა - Orica-GreenEdge); 8. **კრის ბეკმანსი** (ბელგია - Vacansoleil); 9. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია - Team Sky); 10. **რუბენ პერესი** (ესპანეთი - Euskaltel-Euskadi)...

საერთო რანკინგი

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიცარია, RadioShack-Nissan); 2. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +0,07; 3. **სილვენ შავანელი** (საფრანგეთი - Omega Pharma-Quick Step) - +0,07; 4. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ - BMC Racing Team) - +0,10; 5. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორვეგია - Team Sky) - +0,11; 6. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +0,13; 7. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +0,17; 8. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +0,18; 9. **რეიდერ ჰესეიდალი** (კანადა - Garmin-Sharp) - +0,18; 10. **ანდრეას კლიოდენი** (გერმანია - RadioShak-Nissan) - +0.19...

ეს საინტერესოა

ვინ უფრო ძლიერია?

მსოფლიოში ფიტნესის ერთ-ერთმა ყველაზე სახელგანთქმულმა მწვრთნელმა **ნიკ ჰარისმა** ფორმულა 1-ის მრბოლელებისა და სპორტის სხვა სახეობების ნარმომადგენლების, კერძოდ, ჩოგბურთელების ფიზიკური ფორმა შეადარა.

ჰარისი, რომელიც ამჟამად უიმბლდონზე მოთამაშე ორ წამყვან ჩოგბურთელთან თანამშრომლობს, ამტკიცებს, რომ ჩოგბურთში დატვირთვები უფრო მეტია თუნდაც იმიტომ, რომ იქ მოთამაშეებმა არ იციან, რამდენი ხანი გაგრძელდება მატჩი. მაშ ასე, ვინ უფრო უკეთ არის მომზადებული ფიზიკურად – ფორმულა 1-ის პილოტი თუ ჩოგბურთელი?

ნიკ ჰარისი: *"ძალიან რთული საკითხია. თუ მხოლოდ დაძაბულობაზე ვილაპარაკებთ, რომელშიც პილოტები დაახლოებით ორი საათის განმავლობაში იმყოფებიან, მაშინ გამოდის, რომ ფორმულა 1-ში დატვირთვები უფრო მაღალია. თქვენ ზიხართ მანქანაში, ტემპერატურა 50 გრადუსია, გაცვიათ კომბინეზონი და გახურავთ ჩაფხუტი. მრავალგზის გადატვირთვის პირობებში გიწევთ გადაწყვეტილებების მიღება. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია და პილოტის ორგანიზმი დაუჯერებელ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ სტრესს იღებს. ასეთი რამ სპორტის არცერთ სხვა სახეობაში არ ხდება.*

მაგრამ ჩოგბურთი, განსაკუთრებით მამაკაცების, მსოფლიოში ყველაზე რთულ სახეობად უნდა მივიჩნიოთ. მოდით გავიხსენოთ ნოვაკ ჯოკოვიჩის გამოსვლა ავსტრალიის ღია პირველობაზე. ნახევარფინალში მას ხუთი საათი დასჭირდა ენდი მიურეის დასამარცხებლად, უკვე ორი დღის შემდეგ კი ექვსსაათიან ფინალურ მატჩში მოუგო რაფაელ ნადალს. ეს არის 11 საათი ორ დღეში, როცა თამაში წყვეტილი ტემპით მიმდინარეობს. ამ დროს ენერგიის სწორად დახარჯვა ძალიან რთულია.

ამიტომაც ვამბობ, რომ ჩოგბურთელები ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან..."

სამთო-სათხილამურო სპორტი

სასწაული ბაჰრეინში

აბერუკეე 15 წელია ბაჰრეინში უნიკალურ პროექტზე მუშაობდნენ - ლაპარაკია გადახურულ სამთო-სათხილამურო ცენტრზე. და, როგორც ჩანს, ამ „ცხელი" ქვეყნის მაცხოვრებელთა ოცნება ასრულდება.

ბაჰრეინელმა კერძო ინვესტორმა **ფუად შუვაითარმა** ქვეყნის მთავრობასთან ხელი მოაწერა 30-წლიან ხელშეკრულებას, რომელიც Grand Muharraq Garden-ის კაპიტალურ რემონტს ითვალისწინებს.

რეკონსტრუქცია ითვალისწინებს ქვეყანაში პირველი სრულფასოვანი სამთო-სახილამურო ტრასის მშენებლობას. პროექტის ღირებულება 63.6 მილიონი დოლარი იქნება და მისი განხორციელება 2013 წლის იანვარში დაიწყება. მშენებლობის დასრულება 2016 წელს არის ნავარაუდები.

პროექტის დიზაინერის **მოჰამედ ელ-თავილის** სიტყვებით, კომპლექსის საერთო ტერიტორია 111 ათასი კვადრატული მეტრი იქნება. 60 პროცენტი დაეთმობა "მწვანე ზონას", რომელშიც თემატური პარკი გაშენდება, დანარჩენი 40 პროცენტი კი ცათამბჯენებითვის იქნება განკუთვნილი. იქ განთავსდება რესტორნები, რამდენიმე ფიტნეს-კლუბი, ცენტრი ხანში შესული სტუმრებისთვის, ახლო აღმოსავლეთში უდიდესი ბოულინგ-ცენტრი და სავაჭრო ცენტრები...

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევროპის ლიგა

I საკვალიფიკაციო

ხაზარი-ნომე	2:2
იაგოდინა-ორდაბასი	0:1
კუოპიო-ლანელი	2:1
ტრანს ნარვა-ინტერი	0:5
რენოვა-ლიბერტასი	4:0
ლევადია-შიაულიაი	1:0
ელფსბორგი-ფლორიანა	8:0
ბაკუ-მურა	0:0
იუვისსკიულა-სტაბეკი	2:0
პიუნიკი-ზიტა	0:3
რუდარი-შირაძი	0:1
დაჩა-პუგლიკუმი	1:0
დიფერდანჟი-რუნავიკი	3:0
სუდუვა-დაუგავა	0:1
ბირკირკარა-მეტალურგი	2:2
ტირანა-გრეენმახერი	2:0
სანტა კოლომა-ოსიეკი	0:1
სარაევო-ჰიბერნიანი	5:2
ტვენტე-სანტა კოლომა	6:0
სტეიმური-ბანძასარი	3:1
ლეხი-ჟეტისუ	2:0
ოლიმპია-ჟონესი	3:0
მტკ-შენიცა	1:1
სეფნი-მიუპა	0:0
ფლამურტარი-ჰონვედი	0:1
ლა ფიორიტა-მეტალურგსი	0:2
ბანგორი-ზიმბრუ	0:0
ბოჰემიანი-ტორი	0:0
კლიფტონვილი-კალმარი	1:0
სტ. პატსი-ვესტმანაიეარი	1:0
კრუზეიდერსი-რუსენბორგი	0:3
ბორაცი-სელიკი	2:2
ჰაფნარი-მაურენი	2:1

ამხანაგური მატჩები

ბამბერგი-ნიურნბერგი	0:4
კაიზერი-ობერშტაინი	1:1
ლოკომოტივი (პ)-ლეგია	2:1
ზაგრები-შლიონსკი	1:1
ზალცბურგი-ტერეკი	1:0
გრასჰოპერსი-ვიუნხენი	1:2
გენტი-ირონი	3:1
ლუდოგორეცი-რუბინი	გადაიდო

ნორვეგიის თასი

ჰიოდი-ასკერი	7:0
სანდეფიორდი-ოლესუნდი	1:1 დ.დ. 2:1

შვედეთი

გაის-ერებრუ	0:1

ინგლანდია

გრეიდგლიკი-კეფლავიკი	0:4
გრინდავიკი-ვალური	2:0
რეიკიავიკი-ფილკირი	2:1
სელფოსი-სტიარნანი	1:3
ფრამი-აკრანესი	2:0

ლატვია

სკონტო-იურმალა	1:0

TV პროგრამა

6 ივლისი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. იუვენტუსი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-უდინეზე.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მონპელიე.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-უტრეხტი.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ სიტი.
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. დორტმუნდი.
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.

GMG-სპორტი 1

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი.
14:45 სპორტ-NEWS.
15:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. რეალი.
17:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ლენსტერი-კარდიფი.
18:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
20:00 პოკერ-რინგი 2.
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლსფბურგი.
23:30 NBA ACTION.
00:00 კალათბურთი. VTB-ის ლიგა. ფინალი. ცსკა-უნიქსი.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. ქალები. ლონდონი. ინგლისი.
15:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. 1/2 ფინალი. კაცები. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

ამინდის პროგნოზი

თბილისი	16	30	(მცირე წვიმა)
ქუთაისი	17	27	(მცირე წვიმა)
ბათუმი	16	25	(მზე)
ფოთი	16	25	(მცირე წვიმა)
ზუგდიდი	16	26	(მცირე წვიმა)
გორი	14	28	(მცირე წვიმა)
თელავი	15	28	(მცირე წვიმა)
სიღნაღი	15	26	(მზე)
ძოგულეთი	14	24	(მზე)
ბაკურიანი	6	18	(მცირე წვიმა)
ბორჯომი	13	24	(მცირე წვიმა)
მესტია	8	22	(მცირე წვიმა)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.0572
1 ამერიკული დოლარი	1.6451
1 ბრიტანული ფუნტი	2.5599
100 რუსული რუბლი	5.0661

ავტომოტოსპორტი

უქმეების ანონსი

ავტომოტოსპორტის მოყვარულებს წინ ძალიან საინტერესო უქმეები ელით. ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი – ბრიტანეთის გრანპრი ერთ-ერთ ყველაზე ჩქაროსნულ ტრასაზე გაიმართება. სილვერსტოუნში გამარჯვებაზე ნებისმიერი ბრიტანელი პილოტი ოცნებობს, მაგრამ ლუის ჰემილტონისა და ჯენსონ ბატონის ამოცანას ის ართულებს, რომ სებასტიან ფეტელი ვალენსიაში განცდილი დასანანი მარცხის გამო, მეტად მოტივირებული იქნება, ფერნანდო ალონსო კი სეზონში ორი გამარჯვების შემდეგ, მესამე ტრიუმფზეც არ იტყვის უარს.

■ ■ ■

გერმანული "ზახსენრინგი" კი მოტოგრაპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე ეტაპს უმასპინძლებს. წინა ეტაპზე ხორხე ლორენსოს გავარდნა იმას ნიშნავს, რომ მასსა და კეისი სტოუნერს შორის პირველობისთვის ბრძოლა თავიდან იწყება...

ფორმულა 1

ბრიტანეთის გრანპრი

ჩატარების ადგილი - სილვერსტოუნი, ბრიტანეთი
წრის სიგრძე - 5 891 მ
საუკეთესო წრე - 1:30,874 (ალონსო, 2010)

საერთო ჩათვლა

1. ალონსო (ფერარი) - 111
2. უებერი (რედ ბული) - 91
3. ჰემილტონი (მაკლარენი) - 88
4. ფეტელი (რედ ბული) - 85
5. როსბერგი (მერსედესი) - 75
6. რაიკონენი (ლოტუსი) - 73
7. გროსჟანი (ლოტუსი) - 53
8. ბატონი (მაკლარენი) - 49

განრიგი

6 ივლისი, 13:00 - I პრაქტიკა
6 ივლისი, 17:00 - II პრაქტიკა
7 ივლისი, 13:00 - III პრაქტიკა
7 ივლისი, 16:00 - კვალიფიკაცია
8 ივლისი, 16:00 - რბოლა

მოტოგრანპრი

გერმანიის გრანპრი

ჩატარების ადგილი - ზახსენრინგი, გერმანია
წრის სიგრძე - 3 671 მ
საუკეთესო წრე - 1:21,846 (პედროსა, 2011)

საერთო ჩათვლა

1. ლორენსო (იამაჰა) - 140
2. სტოუნერი (ჰონდა) - 140
3. პედროსა (ჰონდა) - 121
4. კრატჩლოუ (იამაჰა) - 77
5. დოვიციოზო (ჰონდა) - 75
6. როსი (დუკატი) - 61
7. ჰეიდენი (დუკატი) - 59
8. ბაუტისტა (ჰონდა) - 58

განრიგი

6 ივლისი, 12:10 - I პრაქტიკა
6 ივლისი, 16:10 - II პრაქტიკა
7 ივლისი, 12:10 - III პრაქტიკა
7 ივლისი, 15:55 - კვალიფიკაცია
8 ივლისი, 15:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სტეფანია
1998 წლის დრაფტი, N 27

ნიკოლოზ ცქიტიშვილი
2002 წლის დრაფტი, N 5

ზაზა ფაჩულია
2003 წლის დრაფტი, N 42



ვიქტორ სანიკიძე
2004 წლის დრაფტი, N 53

თორნიკე შენგელია
2012 წლის დრაფტი, N 54



« 80-12 გვერდიდან

■ ■ ■

ასე და ამგვარად, გავიხსენეთ ყველა ქართველი დრაფტოსანი და დავინახეთ არაერთი პარალელი. წლეულს არჩეულ თორნიკე შენგელიას ზაზა ფაჩულიასავით დასამტკიცებელი აქვს, რომ 54-ე კი არა, ათეული საფეხურით ადრე აყვანას იმსახურებდა. ამისთვის მხოლოდ თავდაუზოგავი მუშაობა და „ბრუკლინ ნეთსში" მოხვედრა საკმარისი არ არის - აუცილებელია „თითოეული ნაბიჯის გათვლა" და კარგი მრჩეველი. ასეთი კი შენგელიას უკვე ჰყავს: ივნისში ამერიკაში ჩასული ფაჩულიას ხელშეწყობით „ატლანტას" დარბაზში ვარჯიშობდა, ხოლო დრაფტს ზაზასთან ერთად ესწრებოდა. თორნიკეს არც შინ აკლია დამრიგებელი - მამამისი, კახა შენგელია ხომ ევროპაში გამგზავრებამდე (2008 წლამდე) მისი მწვრთნელი იყო.

ევრო 2012

ტიკ-ტაკტიკა

დასრულდა მორიგი ევროპის ჩემპიონატი. თასი ესპანელებმა წაიღეს. მაინც როგორ მოახერხეს ეს? პასუხი მარტივია - სწორი ტაქტიკით.

მოდით, ჩემპიონატის მონანილე რამდენიმე გუნდის ტაქტიკა განვიხილოთ, რაშიც ფოტოები, კარიკატურა და გრაფიკული სქემები დაგვეხმარება.



ჩვენ

ჯერ გავარკვიოთ, როგორი ტაქტიკით ვადევნებდით თვალს ევროპის ჩემპიონატს:

პორტუგალია

პორტუგალიის ტაქტიკაში ყველაფერი მარტივადაა: წითელი წერტილი **კრიშტიანო რონალდოა.**

გერმანია

გაცილებით რთულია გერმანიის სტრატეგია. ჩემნაირ მოყვარულ ტაქტიკოსებს ნამდვილად გაუჭირდებათ გარკვევა, ძრავაში რომელი მექანიზმი რა პრინციპით მოქმედებს.

იტალია

რაც უნდა კარგად იყოს დაზეთილი მანქანა, იგი ადამიანს ვერ შეცვლის. ეს **ანდრეა პირლომ** გერმანიასთან მატჩში დაამტკიცა. იტალიის ტაქტიკური სქემა მარტივი იყო - მოედანზე 21-ე ნომერი იდგა.

ჰოლანდია

როცა სიმარტივეზე ვლაპარაკობთ, ჰოლანდია არ უნდა დაგვავიწყდეს. თუ მოედანზე არავინაა, არც ტაქტიკაა საჭირო.



საფრანგეთი

ფრანგების მწვრთნელის განკარგულებაში მობილური, ტექნიკური გუნდი იყო, მაგრამ მარილი აკლდა - კაცი, რომელიც გადამწყვეტ გოლს გაიტანდა, თამაშს საკუთარ თავზე აიღებდა, გუნდს აიყოლიებდა, საგოლე პასს გაიკეთებდა.

ასეთ „მარილს" ერთ დროს ზიდანი ერქვა.

საბერძნეთი

ალექსანდრე მაკედონელმა საბრძოლო არსენალში შეიტანა ტაქტიკური წყობა სახელწოდებით ფალანგა. მეომრები ერთმანეთის უკან მწყობრად იყვნენ ჩამწკრივებულები და ძალიან გრძელი შუბები ჰქონდათ.

ასეთმა სქემამ საბერძნეთის ნაკრებშიც გაამართლა - მთელი გუნდი საკუთარ მოედანზე მჭიდროდ იყო შეჯგუფული და ძალიან გრძელი პასებით არაერთ მეტოქეს გაუმწარა ცხოვრება. ...რუსეთსაც მისწვდა.

ესპანეთი

ფინალში **სესკ ფაბრეგასმა** საკუთარი ნახევრიდან გამოზომილი შორეული პასით მეკარესთან კინაღამ პირისპირ გაიყვანა **ხორდი ალბა.** სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ ესპანეთის ტაქტიკა დაფაზე არ იხაზება. ფაბრეგასი **ინიესტასთან** ერთად მატჩისწინა ტაქტიკურ მონახაზში გამოკვეთილ ფორვარდად ეხატა, ხოლო ალბა - ფლანგის მცველად.

ტაქტიკა-სტრატეგია და საერთოდ ფეხბურთი უბრალო თამაში რომ არის, ამას ესპანელთა გასახდელში გადაღებული ფოტოც ადასტურებს. დააკვირდით კედელზე ჩამოკიდებულ დაფას.

ვაჟა სიმონიშვილი



პურის რიგიდან NBA-ს დრაფტამდე

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდაკვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608